პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული. რედაქციაში საქმისათვის ლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58. ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49. ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აჭრობა ცეფურებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

დღიური

— სახალინზე საბჭოთა დროშა აფრიალდა.
— ინგლისის თემთა პალატაში კამათი პროფკავშირებისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ.
— ამერიკაში დიდი ბრძოლა საზოგადო-კავშირის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის.
— მდინარე ვეზერში (გერმანია) მანევრების დროს დაიღრჩო 150 ჯარისკაცი.

პარასკევი, 3 აპრილი 1925 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კ. № 75 (1230)

საქ. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის საბჭოების მესამე მოწვევის ყრილობის სხდომები

გაიმართება რუსთაველის თეატრში (რუსთაველის პროსპექტი)

ამასთანავე ცხადდება შემდეგი წესრიგი:

ყრილობის ყველა დელეგატები და სტუმრები დაწესებული ბილეთებით შედიან მხოლოდ და მხოლოდ მთავარ სადარბაზო კარებიდან.

დელეგატები გადამწყვეტი ხმით უნდა მოთავსდნენ პარტერში, ის დელეგატები კი, რომელთაც სათათბირო ხმა აქვთ, იკავებენ ადგილებს ბენუარის ლოჟებში.

სტუმრები მათთვის დაწესებული ბილეთებით იკავებენ ადგილებს ბელეტაჟში და პირველი და მეორე იარუსის ბალკონზე.

4—1 ნ. 1052 საორგანიზაციო კომისია.

„კომუნისტი“-ს წლიურ ხელისმომწერთა საყურადღებოთ

შეპირებული პრემია: მ. ჯავახიშვილის თხზულება

„კვაჭი კვაჭანტირაძე“

რომელიც გამოვიდა დღეს „წითელი კავკასიონი“-ს გამოცემაში

ამ დღეებში დაურიგდება ჩვენ წლიურ ხელისმომწერთ.

დაურიგდა „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთ უფასო დამატებანი: „მეცნიერება და ტეხნიკა“ № 6 და „ჩირაღდანი“ № 6

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

იხსნა საქართველოს კომპარტიის ცეკას გაფართოებული პლენუმი. ოქტომბრის უკანასკნელ პლენუმს, რომელზედაც ჩვენმა პარტიამ სწორი ბოლშევიკური შეფასება გაუკეთა აგვისტოს ამბებს და გამოამჟღავნა სოფლად მუშაობის ყველა შეცდომები და ნაკლოვანებანი,—უეჭველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ექნება მომავალშიც. ამ პლენუმზე მიღებული დადგენილებები გახდა ისეთ პროგრამათ, რომლის განსახორციელებლად საჭირო იყო არა მარტო უახლოესი თვეები, არამედ, შეიძლება, უახლოესი წლებიც.

მიუხედავად ამისა, უკვე ეხლავე, მიმდინარე პლენუმზე ჩვენ შეგვიძლია და უნდა გამოვარკვიოთ კიდეც, თუ რა გაკეთდა ჩვენი სამაზრო და საოლქო ორგანიზაციების მიერ ოქტომბრის პლენუმის დადგენილებათა შესრულების სფეროში, ჩვენ ერთგვარი ჯამი უნდა გავუკეთოთ შესრულებულ მუშაობას.

ამას წინად დამთავრდა ყველგან საბჭოების არჩევნები; ჩატარებული იქნა საბჭოების სათემო, სამაზრო და საოლქო ყრილობები, რომლებმაც უეჭველად გამოამჟღავნეს მუშათა და გლეხთა მასების ნამდვილი სურვილები. ამ სტრიქონების დამწერი დაესწრო ზოგიერთ ყრილობებს (სენაკია და ზუგდიდის მაზრებში და აჭარისტანში) და უნდა ითქვას, რომ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში უპარტიო გლეხების და გლეხ-ქალების ჩაბმის მხრივ ჩვენ გვაქვს გარკვეული მიღწევები. მასების სულიერ განწყობილებაში გარდატეხა მოხდა, ეს საგრძნობია ყველასათვის, მუშაობის გეზი სწორად არის აღებული, თუმცა არა ყველგან და ყოველთვის არის იგი სავსებით გამართული.

ეს, რასაკვირველია, არ კმარა იმისთვის, რომ უფრო ახლოს მივუდგეთ გლეხობის ყველა საჭიროებების გადაწყვეტას, რომ მჭიდროთ დავუახლოვდეთ გლეხობას. ეს კი ჩვენი პარტიის გადაუდებელი, პირველი რიგის ამოცანაა საქართველოს პირობებში, რასაც ყურადღება მიაქცია საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიამაც. საკმარისი არ არის უპარტიოთა განსაზღვრული რაოდენობის გაყვანა საბჭოში, საკმარისი არ არის რომელიმე გლეხის ან გლეხ-ქალის არჩევა პასუხისმგებელ თანამდებობაზე; საჭიროა ისე ვიმუშაოთ, რომ უპარტიო გლეხებიც გრძნობდნენ თავის თავს ახალი საბჭოთა სახელმწიფოს თანასწორუფლებიან მშენებლებათ და მონაწილეებათ; პასუხისმგებლობას ამ საქმის განხორციელებისათვის კომპარტიასთან იზიარებდნენ ისინიც. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ სწორეთ ასეთი შეხედულება შეიქმნეს უპარტიო გლეხთა ფართო მასებში. ამის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ წარმატებით წავალთ წინ. ეს ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული, მაგრამ უნდა ვაკეთოთ.

პლენუმზე თითქმის ყველა საკითხი ეხება ჩვენ მიერ სოფლათ წარმოებულ მუშაობას. ორი სამაზრო —სენაკის (დასავლეთი საქართველო) და სიღნაღის (აღმოსავლეთი საქართველო) კომიტეტების მოხსენებებმა უნდა დაგვანახოს, როგორი მდგომარეობაა ამ დიდ მაზრებში, სადაც ასეული ათასი გლეხებია. და აქ ჩვენ გვჭირდება არა ოფიციალური „კაზიონური“ მოხსენებები, სადაც ხშირათ კარგი ციფრები და პუნქტები ფარავენ ცოცხალ ადამიანებს, არამედ ჩვენი ახალი სოფლის ცხოვრების ნამდვილი სურათი, თუ, რასაკვირველია, ასეთი შექმნილი და ჩამოყალიბებულია. ამ ამოცანას კი უნდა ემსახურებოდეს მთელი ჩვენი საერთო-პარტიული მუშაობა გლეხთა შორის.

აი ამიტომ არის, რომ ცალკე მუხლათ სდგას საკითხი პარტიული მუშაობის შესახებ სოფლათ. სათემო სისტემაზე გადასვლის გამო, რამაც დადებითი შედეგები მოგვცა, საჭიროა ამასთან შეფარდებით გადაწყვეტილი იქნეს საკითხი ჩვენი პარტიული აპარატის წყობის შესახებ. თემკომები უნდა არსებობდნენ თუ რაიკომები—ამაზე პასუხი უნდა გასცეს პლენუმმა.

პლენუმის ორი დიდი საკითხი—**კომკავშირის მუშაობისა და მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის შესახებ** აგრეთვე, უმთავრესათ, ეხება სოფელს. ჩვენი კომკავშირი განუწყვეტლივ იზრდება და ამ ჟამათ ის გაიზარდა ახალგაზრდა მებრძოლების ოცდა ათიათასიან არმიათ. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ის სოფლათ და იქ მისი როლი მეტათ პასუხსაგებია, რადგან ზოგიერთ შემთხვევებში კომკავშირის უჯრედები არსებობენ იქაც, სადაც ჯერ კიდევ არ არიან მოწყობილი პარტიული უჯრედები და, მაშასადამე, ისინი იძულებული არიან იქ ხელმძღვანელი როლი ითამაშონ. **კომკავშირმა გადაჭრით უარი უნდა სთქვას სოფლათ შეგავლენის მოხდენის ძველ ადმინისტრატიულ მეთოდებზე და ფუქსავეობაზე;** მან, უმთავრესათ, ხელი უნდა მოჰკიდოს ამზრდელობითი ამოცანების შესრულებას, რითაც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს სოფელს მისი კულტურული ამაღლების მხრივ.

რაც შეეხება ქალთა შორის მუშაობას, ყველა არსებული ცნობები აღნიშნავენ პოლიტიკური შეგნების და აქტივობის ზრდას მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შორის, რაც პარტიული ორგანიზაციების წინაშე აყენებს ამოცანას გაძლიერებული იქნეს პროპაგანდა გლეხ-ქალთა შორის, რათა ისინი აქტიურათ ჩაბმული იქნენ მოსახლეობის, ასე ვსთქვათ, მამრობით ნაწილთან ერთად საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროებში. უკანასკნელმა არჩევნებმა ამ მხრივ დადებითი შედეგები მოგვცა.

ყველა ამ საკითხებს საარსებო მნიშვნელობა აქვთ სოფლისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ პლენუმი სათანადო ყურადღებას მიაქცევს და წარმატებით გადაჭრის მათ.

მიხ. კახიანი.

იუსტიციის მუშაკთა თათბირის შედეგები

ამიერ-კავკასიის იუსტიციის მუშაკთა პირველ თათბირს, რომელიც ამას წინად შესდგა თბილისში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოების, მთავარ სასამართლოების და საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეთა მონაწილეობით, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ამ რესპუბლიკების პროლეტარული იუსტიციის ორგანოების მომავალი მუშაობისათვის.

თათბირზე მონაწილეობა მიიღო 23 დელეგატმა, რომლებიც წარმოადგენდნენ აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, აფხაზეთის და ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების—აჭარისტანის, ნახიჩევანის, სამხრეთ-ოსეთის და ყარაბახის იუსტიციის ორგანოებს. თათბირი გაიმართა საბჭოთა აღმშენებლობის განვითარების ისეთ პერიოდში, როდესაც გადაუდებელი ამოცანების სახით წამოყენებულია: რევოლიუციონური კანონიერების მტკიცეთ გატარება სოფლათ, გლეხთა ფართო მასების აქტიურად ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში და ხელისუფლების ადგილობრივი აპარატების გაჯანსაღება და განმტკიცება.

იმ ძირითადი საკითხებიდან, რომლებიც დასმული იყო თათბირის დღის წესრიგში, აღსანიშნავია: 1) საკითხები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების იმ სახალხო კომისარიატების ურთიერთობის შესახებ, რომლებიც გაერთიანებული არ არიან; 2) საკითხები ერთი რესპუბლიკის სასამართლოების და საგამომძიებლო ორგანოების გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა შესრულების შესახებ მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე; 3) კანონების გამოქვეყნების წესისა და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. უზენაესი სასამართლოს შესახებ; 4) ენის შესახებ სასამართლოს დაწესებულებებში და საბჭოთა უფლების პოპულარიზაციის ღონისძიებების შესახებ; 5) ამიერ-კავკასიის იუსტიციის სახალხო კომისარიატების დამოკიდებულება ცენტრთან და მათი ურთიერთობა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან; 6) საკითხები რევოლიუციონური კანონიერების გატარების შესახებ და სხვა.

მოსმენილი იქნა აგრეთვე მოხსენებები ადგილებიდან. ყველა ეს საკითხები დაწვრილებით განხილული იყო თათბირზე. თათბირის მიერ ამ საკითხების შესახებ მიღებულ რეზოლიუციების ძირითადი შინაარსი შემდეგია: თათბირმა სცნო, რომ კანონმდებლობის საფუძვლებს იმ სახალხო კომისარიატებისათვის, რომლებიც გაერთიანებული არ არიან, იძლევიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი. ამიერ-კავკასიის ცაკიც აძლევს კანონმდებლობის სახელმძღვანელო საფუძვლებს ამ სახალხო კომისარიატებისათვის საბჭოთა კავშირის და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციასთან შეფარდებით.

ამიერ-კავკასიის უზენაესი სასამართლო უნდა გახდეს იმ სახალხო კომისარიატების მუშაობის შემთანხმებელ ორგანოთ კონსტიტუციის თვალსაზრისით, რომლებიც გაერთიანებული არ არიან. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა პერიოდული თათბირები პრინციპიალური ხასიათის საკანონმდებლო აქტების წინასწარ განსახილველათ და რეგულიარული გაცვლა-გამოცვლა მასალებისა მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობის შესახებ უნდა გახდეს აგრეთვე ამ სახალხო კომისარიატების მოღვაწეობის გამაერთიანებელ ღონისძიებებათ.

თათბირმა განიხილა რა საკითხი ცალკე რესპუბლიკების სასამართლოების და საგამომძიებლო ორგანოებს შორის კონტაქტის დამყარების შესახებ, მიიღო მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებები, რომლებიც შეიცავს იმას, რომ სასამართლოების და საგამომძიებლო ორგანოების დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეების წარმოების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ერთი-ერთი რესპუბლიკის კანონმდებლობაში, სავალდებულო ძალა უნდა ჰქონდეს ამიერ-კავკასიის ყველა დანარჩენ რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

თათბირმა შეიმუშავა სასამართლოს დაწესებულებებში ისეთი საქმეების განხილვის წესი, როდესაც ერთი პირის მიერ ჩადენილი მთელი რიგი დანაშაულებრივი ქმედობისა, რაც მოითხოვს რამდენიმე რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეერთებულ განხილვას ერთ-ერთი რესპუბლიკის სასამართლოს მიერ მეორე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილ ბოროტმოქმედების განხილვისას, თათბირის აზრით, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის—მატერიალური კანონმდებლობით, სადაც ჩადენილ იქნა ბოროტმოქმედება.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს საკითხის შესახებ თათბირმა აზრი გამოსთქვა, რომ აუცილებელია და დროულიც შექმნა ამ ორგანოსი, რომლის მიზანსაც გარდა სასამართლო ფუნქციებისა განსაკუთრებულ ქვემდებარეობის საქმეებზე, წარმოადგენს აგრეთვე თვალყურის დევნება ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის გატარებაზე.

რაც შეეხება ენის საკითხს სასამართლო დაწესებულებებში, თათბირმა საბჭოთა ხელისუფლების პრინციპების საფუძველზე დაადასტურა, რომ ყოველ მოქალაქეს, რომელ ეროვნებასაც ის არ უნდა ეკუთვნოდეს, ქონდეს შესაძლებლობა, რომ მის დამოკიდებულებაში სახელმწიფო ორგანოებთან და სახელმწიფო ორგანოების მასთან დამოკიდებულებაში, ისარგებლოს მშობლიურ ენით. ადმინისტრატიულ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც შერეული მოსახლეობაა, ხელისუფლების ორგანოებმა ამიერ-კავკასიის ცაკის მე-2 სესიის დეკლარაციის თანახმად უნდა ისარგებლონ მოსახლეობის უმეტესობის ენით, სხვა ეროვნებათათვის კი უნდა არსებობდეს გარანტიები და სხვ. სასამართლო დაწესებულებებში სასამართლო პროცესის ყველა მონაწილეს უფლება უნდა ჰქონდეს მისთვის გასაგებ ენაზე ლაპარაკისა. თათბირმა იქვე გამოიმუშავა მთელი რიგი კონკრეტიულ ღონისძიებათა საბჭოთა უფლების პოპულიარიზაციისათვის.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების იუსტიციის სახ. კომისარიატებთან დამოკიდებულებას, თათბირმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების იუსტ. სახ. კომისარიატები ანხორციელებენ ყველა მათთვის მინიჭებულ უფლებებს ადგილობრივ სასამართლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის დარგში — სრულებით დამოუკიდებლად, მხოლოდ იმ გამორიცხვით, რომ ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების იუსტ. სახ. კომისარიატი სახელმძღვანელოთ იღებს ძირითად რესპუბლიკების იუსტ. სახ. კომისარიატის ყველა იმ დადგენილება-ცირკულიარებს, სადაც ეს უკანასკნელნი გამოდიან საერთო სარესპუბლიკო კანონმდებლობის განმმარტებელათ, ან და იძლევიან მთელი რესპუბლიკის სასამართლო პოლიტიკის საერთო ხაზს მთლიანად. ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების იუსტიციის სახ. კომისარიატი, როგორც ამ რესპუბლიკებისა და ოლქების პროკურორები, ახორციელებენ ამ უფლებებს დამოუკიდებლად და პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ თავის რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების წინაშე.

შემდეგ თათბირმა აზრი გამოსთქვა სასამართლოს ქვედა აპარატის—სახალხო სასამართლოთა ქვემდებარეობის გაფართოების საჭიროების შესახებ.

მოსახლეობასთან სასამართლოს დაახლოების და სოფლად რევოლიუციონური კანონიერების გაღრმავების ინტერესებმა აუცილებლად მოითხოვეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სასამართლო დაწესებულებების მოწყობის სისტემის გადასინჯვას.

თათბირი დაწვრილებით შეჩერდა ამ რევოლიუციონური კანონიერებას სოფლად გატარების მეთოდებზე. თათბირმა აუცილებელ საჭიროებად სცნო გაძლიერდეს სისტემატიური ბრძოლა ამ რევოლიუციონური კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ და აგრეთვე ადმინისტრატიული თვითნებობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. მეორე მხრივ თათბირმა საჭიროდ სცნო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების იუსტიციის მუშაკებს მიუთითოს იმაზე, რომ მათ აღმოუჩინონ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს ყოველმხრივი დახმარება მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩასაბმელად საბჭოთა სოციალისტურ აღმშენებლობაში. ამასთან ერთად თათბირმა ჩამოაყალიბა ის კონკრეტიული ამოცანები, რომლებიც უახლოეს დროში სასამართლოსი და პროკურატურის ორგანოების მიერ გატარებული უნდა იქნეს სოფლად.

საერთოდ ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის იუსტიციის მუშაკთა თათბირმა ჩაატარა დიდი მუშაობა როგორც ცალ-ცალკე რესპუბლიკების იუსტიციის ორგანოების ურთიერთთან დაახლოების საქმეში, საერთო მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად ა.-კ. პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესების დასაცავად, აგრეთვე კონკრეტიულ ზომების გამოსამუშავებლად რევოლიუციონური კანონიერების განსახორციელებლად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

თათბირის მიერ გამომუშავებულ ღონისძიებათა სრული და ფაქტიური განხორციელება — წარმოადგენს უტყუარ თავდებს როგორც ცალ-ცალკე რესპუბლიკების, აგრეთვე მთელი ფედერაციის ძალ-ღონის განმტკიცებისას და გაძლიერებისას.

ი. ვარძიელი.

ამხ. ამხ. ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის მოკვლის შემდეგ

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება პანების ტერორის წინააღმდეგ

მოელიან პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომას

ქსენძი უსასი პოლონეთის კონსულმა გადასცა საბჭოთა მთავრობას

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 2 აპრილი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულმა პლენუმმა ბაგინსკის და ვეჩორკევის მოკვლის გამო მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს, გლეხებს და ყველა არმიების ჯარისკაცებს.

მოწოდებაში ნათქვამია:

„ისინი მოკლულ იქნენ წინააღმდეგ თვით ბურჟუაზიული კანონისა იმის შემდეგ, რაც პოლონეთის მთავრობამ ვერ მოახერხა მათი მოსპობა „კანონიერად“. **პოლონეთის ბურჟუაზიის ასეთი ვერაგული ბოროტმოქმედებისათვის სავსებით პასუხისმგებელი არიან პირველყოვლისა სოციალ-დემოკრატები—პოლონეთის სოციალისტური პარტია. მათ შეგნებულად შეუწყვეს ხელი „ოხრანკას“, გააჩაღეს პრესაში და სეიმში გააფთრებული კამპანია ამ რევოლიუციის მებრძოლთა ციხიდან გამოშვების და გადაცვლის წინააღმდეგ და ასეთი მუხანათური წახალისებით გამოიწვიეს ბაგინსკის და ვეჩორკევისის მხეცურად მოკვლა.**

ამ კომუნისტების დაღუპვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მეორე ინტერნაციონალის ამ პარტიას. დეე, ყველა ქვეყნის პროლეტარებმა ერთხელ კიდევ და უფრო მეტი ძალით გამოიჩინონ თავისი აღშფოთება, თავისი ზიზღი პოლონელ ჯალათების ვერაგული საქციელის მიმართ“.

პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 2 მარტი. სეიმის ყველა კლუბებმა შეიტანეს შეკითხვები ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლის გამო. კომუნისტურმა ფრაქციამ, გლეხთა დამოუკიდებელმა პარტიამ, ბელორუსებმა და უკრაინელებმა შეიტანეს ამის გამო შეკითხვები. სასწრაფო შეკითხვები შეიტანა აგრეთვე პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ „ვიზვოლენიე“-სთან ერთად.

სეიმში ვრცელდება ხმები, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი რატაისკი გადადგება.

გაზეთების ცნობით, სტოლბეცკის მამასახლისი დროებით გადაყენებულია თანამდებობიდან. ირკვევა რომ მკვლელი მურაშკო არ შედიოდა მხლებელ რაზმში, ხოლო ვაგონში მოხვდა მამასახლისის პირადი ნებართვით. **მურაშკო არის პოლონეთის „ოხრანკის“ უფროსი აგენტი.**

დაგვიანებული ზომები ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლის გამო

ვარშავა. 1 აპრილი. ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის მოკვლის გამო სტოლბეცკის მამასახლისის ზაიონჩკოვსკის გარდა თანამდებობიდან გადააყენეს აგრეთვე მხლებელი რაზმის უფროსი შიშკევიჩი.

როგორ ეპყრობოდენ ბაგინსკის ციხეში

მინსკი, 2 აპრილი. ერთ-ერთი პოლიტიკური ემიგრანტი, რომელიც ბაგინსკისთან ერთად მჯდარა ციხეში და რომელიც ამჟამად მინსკში იმყოფება, ამბობს, რომ ბაგინსკი საშინელ პირობებში ჰყავდათ რავიცის საკატორღო ციხეში. **საკანს, რომელშიაც ის იყო მოთავსებული, არაოდეს არ აღობდენ და არც ანათებდნენ ღამით. ერთად ერთი „გასართობი“ ბაგინსკისათვის იყო 14 გირვანქიანი ბორკილები. ბაგინსკის აჭმევდენ დამპალ პროდუქტებს.**

ჟანდარმერიის და პოლიციის თარეში პოლონეთში

თვითნებობა გრძელდება.

ვარშავა. 1 აპრილი. 1 აპრილს ღამით ლუცკში მოხდა მასიური დაპატიმრება უკრაინელებს შორის. ლუცკში ჩამოიყვანეს მახლობელ სოფლებში დაპატიმრებული გლეხები.

ახალგაზრდა კომუნისტების პროცესი.

ვარშავა. 1 აპრილი. ვარშავის საოლქო სასამართლოში დაიწყო კომუნისტური ახალგაზრდობის პროცესი. ბრალდებულთა სკამზე ზის 14 კაცი; თვითეულ მათგანს ორ-ორი წლიწადი გაუტარებია წინასწარ დაპატიმრებაში.

პარტიზანული მოძრაობა პოლონეთში

ვარშავა. 1 აპრილი 30 კაცისაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა სადგურ ვოლაკოვიჩს. ჟანდარმებთან და პოლიციასთან შეტაკების შემდეგ პარტიზანელები მიიმალენ ტყეში.

პოლიციამ დააპატიმრა 11 კაცი—ოლკონიცკის და რუდზემსკის სოფლების მცხოვრებლები, რომელთაც ბრალად სდებენ მონაწილეობას ლიტოველთა პარტიზანულ რაზმში.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის ნოტა

მოსკოვი. 2 აპრ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა გადასცა პოლონეთის დიპლომატიურ მისიას საგანგებო ნოტა იმის გამო, რომ პოლონეთის კონსულმა მინსკში ნება მისცა თავის თავს დაეფარა სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემული ქსენძი უსასი.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი აცხადებს, რომ ამ ნოტის ჩაბარების წუთიდან საკავშირო მთავრობა იძულებულად სთვლის თავის თავს კარჩევსკის საქციელის გამო ძალადაკარგულად სცნოს მისი ბინის ხელუხლებლობა. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს იმედი აქვს, რომ **პოლონეთის დიპლომატიური მისია დაუყოვნებლივ წინადადებას მისცემს კარჩევსკის ეხლავე დასტოვოს საბჭოთა კავშირის საზღვრები.**

ქსენძი უსასი გადასცეს საბჭოთა მთავრობას

მინსკი. 2 მარტი. 30 მარტს დაწყებული მოლაპარაკება პოლონეთის საკონსულოში ჩაკეტილ ქსენძის უსასის მთავრობისათვის გადაცემის შესახებ დამთავრდა დღეს დილით.

დღეს, როცა კონსულმა მიიღო ნოტა, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა უსასის გადაცემას, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ დანიშნულ ვადიდან საათნახევარის გასვლის შემდეგ კონსულმა აცნობა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, რომ ის თანახმაა გადასცეს ქსენძი უსასი სათანადო ორგანოს.

სამ საათზე პოლონეთის საკონსულოს შენობას მიადგა ორი ავტომობილი, რომლებშიაც ისხდენ ხელისუფლების წარმომადგენლები. საკონსულოს შენობის გარშემო თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა; ქუჩა ვერ იტევდა მიზღვავებულ ხალხს. გამოწვეულ იქნენ ქვეითა და ცხენოსანი მილიციის გაძლიერებული რაზმები, რომლებმაც უკან დახევინეს ხალხს და გაანთავისუფლეს ქუჩა. ხელისუფლების წარმომადგენლები გაჩერდნენ საკონსულოს შენობის შესასვლელ კარებთან. **ამ დროს მილიცია ძლივს აკავებდა მოზღვავებულ ხალხს, რომელიც თანდათან მატულობდა.**

როცა ავტომობილი გამზადებული იყო, საკონსულოდან გამოვიდა ქსენძი უსასი, სამოქალაქო ტანისამოსში, აჩქარებული ნაბიჯით წავიდა ის ავტომობილისაკენ. უსასთან ერთად ავტომობილში ჩასხდენ მთავრობის წარმომადგენლები.

მშრომელთა საერთო აღშფოთება

საპროტესტო დემონსტრაციები.

ლენინგრადი. 1 აპრილი. გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლის გამო. **პოლონეთის საკონსულოს იცავდნენ ქვეითა და ცხენოსან მილიციონერების გაძლიერებული რაზმები.**

შესდგა მგზნებარე მიტინგები, რომლებზედაც გამოდიოდენ უმთავრესად პოლონელ მშრომელების, პოლონეთის კომპარტიის და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.

დემონსტრაცია მოსკოვში.

მოსკოვი. 2 აპრილი. 1 აპრილს პოლონეთის საელჩოს შენობასთან გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლის გამო. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა დაახლოვებით 10,000 კაცი.

მინსკში.

მინსკი, 2 აპრილი. გაიმართა ყველა სასწავლებლების საპროტესტო დემონსტრაცია ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლის გამო. დემონსტრანტები პოლონეთის საკონსულოსთან გავლის დროს ყვირილით და სტვენით გამოხატავდენ თავიანთ აღშფოთებას.

ძირს მკვლელები.

მოსკოვი. 2 აპრილი. მეორე დღეა ამომრჩეველთა მანიფესტაციები, რომლებიც მიდიან მოსკოვის საბჭოსთან, ამავე დროს ატარებენ სასტიკი პროტესტის ხასიათს იმ ვერაგობის წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინა პოლონეთის ბურჟუაზიამ ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის მიმართ. დემონსტრანტებს შორის გაისმოდა აღშფოთების და პროტესტის ხმები პოლონეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ერთი წლის მუშაობა

(ა.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ერთი წლის არსებობის გამო)

ამიერ-კავკასიის ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო კრედიტისაგან მოითხოვდა დაუყოვნებლივ დახმარებას.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ღონისძიებები გლეხთა მეურნეობის აღდგენის სფეროში ჩვენ უნდა ჩამოგვეყალიბებია იაფ და გლეხისათვის ხელმისაწვდომ ფორმაში.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის წინაშე, ამ ბანკის დაარსების პირველივე დღიდან, დაისვა გლეხისათვის კრედიტის დაუყოვნებლივ მიწოდების ამოცანა.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განხორციელება გულისხმობს წვრილი საკრედიტო დაწესებულებების ქსელის მოწყობას. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ღირებულება და აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საბრუნავი თანხები მივაწოდოთ უმოკლეს სოფლის პროდუქტების მწარმოებელს.

ეს ამოცანა გადაწყვეტილი იქნა ცალკე რესპუბლიკებში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებების და პირველი საფეხურის საკრედიტო ამხანაგობების დაარსებით.

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიის დადგენილებით, წარსული წლის სექტემბერში, საბოლოოდ დაწესებული იქნა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ორგანიზაციული ფორმები. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს ორგანიზაციულ სფეროში მინიჭებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მთელი სისტემის გამაერთიანებელ და ხელმძღვანელ ორგანოს ფუნქციები, პრაქტიკულ სფეროში კი მას დაკისრებული ჰქონდა გამაწონასწორებელი და ოპერატიული მუშაობა.

ამ დროიდან იწყება ცალკე რესპუბლიკებში—საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში არსებულ რესპუბლიკანურ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბანკების გადაკეთება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებებათ, ნორმალური წესდების საფუძვლებზე.

მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობის დამყარება ცალკე რესპუბლიკებში მოწყობილ ბანკებთან საიმედო საწინდარი გახდა საკრედიტო ქსელის ფართოდ გაშლისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის მასშტაბით.

ქვედა საფეხურის საკრედიტო ორგანიზაციების ყველაზე უკეთეს ფორმათ მიჩნეული იქნა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები, რომელთა საშუალებითაც ადვილათ შეიძლება კრედიტის მიწოდება—ფულით და ნატურით—გლეხთა მეურნეობებისათვის, საკრედიტო დაწესებულებების და კრედიტის დაახლოვება გლეხობასთან, ხელის შეწყობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღებისათვის და ფართო გლეხთა მასების ყველა თავისუფალი თანხების ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სფეროში.

ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების სწორი და მიზანშეწონილი მუშაობა ვერ იქნება დაყენებული საერთო-სახელმწიფო ფინანსიური და საკრედიტო პოლიტიკის გავლენის გარეშე—ამიტომ ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების მუშაობისათვის დაკისრებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებებს, ე. ი. რესპუბლიკანურ ბანკებს.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების განმტკიცების და განვითარების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ანაბარებს, ამიტომ ანაბარების ოპერაციებს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული; ის ჩამოყალიბებული იყო ყველაზე უფრო ხელმისაწვდომ ფორმებში, ამასთანავე მოსახლეობის ანაბარები დაცული იყო ყოველგვარი ხიფათისაგან. ჩვენ არ მივსდევთ ანაბარის სიდიდეს, არამედ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევთ ანაბარების რაოდენობას.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო ბანკის ფინანსიურ-საკრედიტო მოღვაწეობას გასული წლის პერიოდში, უნდა ითქვას, რომ მისი ძირითადი კაპიტალი ჯერ კიდევ არ არის შევსებული, მაგრამ სესხი მაინც საკმაო რაოდენობით არის გაცემული ჩვენი სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

მიიღო რა მხედველობაში, რომ ამიერ-კავკასია, უმთავრესად, არის ქვეყანა ძვირფასი კულტურებისა და საექსპორტო ნედლეულობის (ბამბა, თამბაქო, ჩაი, მევენახეობა. მეაბრეშუმეობა და სხვა), რომელთა გასავითარებლად საჭიროა უფრო გრძელვადიანი კრედიტი, გამგეობამ მთავარი ყურადღება მიაქცია გრძელვადიანი კრედიტების მიღებას, რომლებიც გასული წლის პირველ და მეორე მეოთხედში შეადგენენ საკრედიტო თანხების 40 პროც.

სერიოზული მუშაობა იქნა აგრეთვე შესრულებული კრედიტის გაიაფების სფეროში და ამ ჟამად გლეხი გრძელვადიან კრედიტზე (1 წლიდან 3 წლამდი) იხდის 8 პროც. და მოკლევადიან კრედიტზე (1 წლამდი) 12 პროცენტამდი.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ კრედიტების გაცემას საფუძვლად უდევს საწარმოო მიზანი, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი მიზნად ისახავს საწარმოო შედეგებს სოფლის მეურნეობაში, ამიტომ არაწარმოებით სავაჭრო ოპერაციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებების ბუნებას, თავიდანვე ადგილი არ ჰქონია, არ აქვს და არც ექნება ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობაში.

ამასთანავე ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებების ოპერაციების განვითარება ქვედა საფეხურის კოოპერატიული ქსელისათვის ფინანსების მიწოდების სფეროში; ეს ფინანსები კი უნდა მოხმარდეს დამზადების და გასაღების ოპერაციებს, რომლებსაც აწარმოებს ქვედა საფეხურის კოოპერატიული ქსელი.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა ფართოვდება და მტკიცდება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ორგანიზმში სასოფლო-სამეურნეო კრედიტი მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ქალაქის და სოფლის დაკავშირების პროცესში, ისე საბჭოთა ფედერაციის ეკონომიური მთლიანობის შემდგომი განმტკიცების სფეროში.

კ. ჩხენკელი.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხი ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი. 1 აპრილი. თემთა პალატის სხდომაზე ლიბერალმა გაკენზი-ლივინგსტონმა შეკითხვა მისცა მთავრობას, როგორია მისი პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ და როგორი გეგმები აქვს მთავრობას საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაფართოებისათვის.

ამის საპასუხოდ **ბალდვინმა** განაცხადა, რომ მას არაფრის დამატება არ შეუძლია იმ ცნობისათვის, რომელიც წარმოადგინა ჩემბერლენმა შარშან 5 დეკემბერს და რომლის თანახმად საეჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ეხლანდელ პირობებში შესაძლებელია მხოლოდ 1921 წელს დადებულ ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების ფარგლებში.

პონსონბიმ შემდეგი შეკითხვა მისცა მთავრობას: ამ უკანასკნელ დროს ჰქონდა თუ არა მთავრობას შემთხვევა ეცნობებია საბჭოთა მთავრობისათვის რაიმე კომუნისტურ პროპაგანდის გამომჟღავნების შესახებ ინგლისის იმპერიის ფარგლებში.

ჩემბერლენმა მოიყვანა თავისი პასუხი, რომელიც მას გაუცია ასეთსავე შეკითხვაზე 13 მარტს.

მუშათა პარტიის წევრი **ვეჯვუდი** შეეკითხა ჩემბერლენს, გადასცა თუ არა ინგლისის მთავრობამ რაიმე საჩივარი პროპაგანდის შესახებ თვით საბჭოთა მთავრობას.

ჩემბერლენმა უპასუხა: „არა. მე უკვე ამას წინად ვსთქვი, რომ ჩვენ არავითარი ახალი ცნობა არ გაგვიგზავნია საბჭოთა მთავრობისათვის ამის შესახებ".

დეპუტატ **ტეილორს** შეაქვს შეკითხვა, ამ უკანასკნელ დროს მთავრობამ მიიღო თუ არა მოსკოვში მყოფ რწმუნებულისაგან რაიმე ანგარიშები იმის შესახებ, თუ როგორი მოთხოვნილებაა საბჭოთა კავშირში სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე.

მთავრობის წარმომადგენელი **სამუელი** უპასუხებს, რომ ამის შესახებ უკანასკნელ დროს არავითარი ანგარიში არ არის მიღებული.

მუშათა პარტიის დეპუტატი **მაკ კინდერ** ეკითხება მთავრობას, იცის თუ არა მთავრობამ ის, **რომ პრესის ცნობის მიხედვით საბჭოთა კავშირს დაუკვეთია ამერიკაში 2 მილიარდი დოლარის სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ეს შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული.**

დეპუტატი **ტეილორი** იძლევა შეკითხვას, როდის აქვს მთავრობას განზრახული აღადგინოს საკონსულო ბათომში, გენერალური საკონსულოები მოსკოვში და ოდესაში და ვიცე საკონსულოები საბჭოთა კავშირის სხვა დანარჩენ ქალაქებში.

მთავრობის წარმომადგენელი სამუელი უპასუხებს: ეხლანდელ პირობებში შეუძლებელია იმის თქმა, თუ როდის მოხდება ეს.

საბჭოთა დროშა სახალინზე

მოსკოვი. 2 აპრილი. 29 მარტს აუარებელი ხალხის თანდასწრებით საბჭოთა მთავრობის კომისიის შენობაზე ალექსანდროვსკში (სახალინი) აღმართულ იქნა საბჭოთა დროშა.

მისალმებებით გამოვიდენ ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამერიკა და საბჭოთა კავშირი

ყოყმანობენ.

ნიუ-იორკი. 1 აპრილი. ამერიკის საზოგადოებრივი წრეები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კავშირის ცნობას, შეშფოთებული **არიან ხმებით ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მომავალ მოლაპარაკების შესახებ.** ამის გამო საბჭოთა კავშირის ცნობის მოწინააღმდეგეებმა გააძლიერეს პროპაგანდა. თეთრ სახლში (პრეზიდენტის რეზიდენცია) ჟურნალისტების შეკითხვებზე საბჭოთა კავშირის მიმართ ამერიკის პოლიტიკის შესახებ, ერთსა და იმავე უარყოფით პასუხს იძლევიან, რაც ნამდვილად ნიშნავს ყოველგვარი პოლიტიკის უქონლობას.

1 აპრილს რამოდენიმე კორესპონდენტის ცნობებში ნათქვამი იყო, რომ კულიჯი გადაჭრით ეწინააღმდეგება ცნობას, ხოლო ნამდვილად კი თეთრი სახლიდან მიღებული ცნობა აღნიშნავდა, რომ ის ამჟამად უარს ამბობს საერთოდ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის რაიმე საკითხის განხილვაზე.

ჟ. სადულის პროცესი

ორლეანი. 1 აპრილი. 1 აპრილს სასამართლოს სხდომაზე სადულის საქმის გამო ჩვენებებს იძლეოდენ ბრალდებული და მოწმეები.

გენერალი ნისელი, ყოფილი უფროსი საფრანგეთის სამხედრო მისიისა მოსკოვში, აცხადებს, რომ მას არაფერი თქმა არ შეუძლია სადულის დეზერტირობის შესახებ. მოწმე აღნიშნავს, რომ სადულის, როგორც მისიის წევრის, მუშაობას არ ჰქონია ოფიციალური ხასიათი რადგან ერთად-ერთი პასუხისმგებელი პირი საფრანგეთის მთავრობის წინაშე იყო მისი უფროსი, ე. ი. ის გენერალი ნისელი.

ერთგვარ გაკვირვებას იწვევს საფრანგეთის ყოფილი ელჩის (რუსეთში) ნულანსის ჩვენება როგორც თავისი შინაარსით, ისე კილოთი. ნულანსი ბრალს სდებს საბჭოთა ხელმძღვანელებს სეპარატიული ზავის დადებაში.

ნულანსი არ ილაშქრებს პირდაპირ სადულის წინააღმდეგ, მაგრამ ცდილობს დაამტკიცოს, რომ სადული არ თამაშობდა არავითარ ოფიციალურ როლს.

ერთგვარ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი ჩვენებით მაიორი **შაპუი,** რომელიც მტრულად არის განწყობილი ბრალდებულის მიმართ. სახეში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ბრალდება დეზერტირობის შესახებ დამყარებულია უმთავრესად ბუნდოვან ბრძანებაზე, რომელიც სადულისათვის მიუცია მაიორ შაპუის, სახელდობრ: დაბრუნებული იყო საფრანგეთში საფრანგეთის სამხედრო მისიასთან ერთად.

შაპუი ბრალს სდებს სადულს იმაში, რომ ის პროპაგანდას ეწეოდა საფრანგეთის ჯარისკაცებს შორის საკომანდო შემადგენლობის წინააღმდეგ და მიუხედავად აკრძალვისა, მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ მუშაობაში.

იწყება გაცხოველებული კამათი. დამცველები ამტკიცებენ, რომ ბრალდება შაპუის მხრივ სადულის დეზერტირობის შესახებ — უფრო ძველია, ვიდრე მისი პირველი პატაკი. აღსანიშნავია, რომ ყველა მოწმეები, გარდა შაპუისა, აღიარებენ სადულის გულწრფელობას და მისი მუშაობის სასარგებლობას.

შვეიცარიელი ამხანაგები მოდიან მოსკოვში

სტოკჰოლმი. 1 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფოსტელ მუშაკთა მოპატიჟებით 4 აპრილს მოსკოვში მოდის შვეიცის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირის დელეგაცია, რომელშიაც შედის 5 კაცი. დელეგაციის მიზანია შრომის პირობების შესწავლა საბჭოთა კავშირში და უკანასკნელთან კავშირის დამყარება.

თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ

მოსკოვი. 2 აპრილი. 1 აპრილს კალინინის თავმჯდომარეობით საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმთან გაიხსნა თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ.

თათბირმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) თათბირის პრეზიდიუმის მოხსენება შესრულებულ მუშაობის შესახებ, 2) სათემო აღმასკომების და სასოფლო-საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, 3) ქალაქის საბჭოების შესახებ. 4) მოხსენება სათემო ბიუჯეტის შესახებ.

ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა **ამხ. კაგანოვიჩმა.** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში თათბირის პრეზიდიუმმა მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს თათბირის წინაშე დასმულ მთავარ ამოცანის განხორციელების საქმეში—საბჭოთა აღმშენებლობაში გლეხთა ფართო მასების ჩაბმის მხრივ. ყველაზე უკეთესად ამას ამტკიცებს საბჭოების ხელახალი არჩევნები. ჩვენ ვხედავთ, რომ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი ძალიან გაიზარდა შარშანდელთან შედარებით.

ბოლოს კაგანოვიჩი ხაზს უსვამს, რომ თათბირის მიერ აღებული ხაზი სავსებით სწორი აღმოჩნდა და მომავალში მას მოჰყვება თვალსაჩინო შედეგები.

კაგანოვიჩის მოხსენება თათბირმა მიიღო ცნობად.

ამხ. კისელიოვის მოხსენება.

სათემო აღმასკომის და სასოფლო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხზე მოხსენება გააკეთა კისელიოვმა. მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი არსებითი ნაკლულოვანებათა ფენი საბჭოთა მუშაობაში ადგილებზე, რაც დაამტკიცა ადგილობრივ საქმის გამოკვლევამ. მომხსენებლის აზრით დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის მუშაობის გასაცხოველებლად საჭიროა მჭიდრო კავშირის დამყარება საგუბერნიო, სამაზრო აღმასკომებსა და გლეხობას შორის.

კისელევის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა. ჩაეწერა, მხოლოდ სიტყვის თქმა ვერ მოასწრო 30 კაცმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სემაშკომ, კუროჩკინმა (ჩერნიგ. გუბ.) კუმანკოვმა (პოლტავის გუბ.) იზვეკოვმა (ორიოლის გუბ.) და სხვებმა.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

ამხ. ზინოვიევის მოხსენება*)

მოსკოვი. 2 აპრილი. ვაქვეყნებთ ამხ. ზინოვიევის მიერ კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე წაკითხულ მოხსენების გაგრძელებას:

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

„სანამ შევეხებოდე ბოლშევიზაციის საკითხს, მე მინდა რამოდენიმე სიტყვით დავახასიათო პროფესიონალური მოძრაობა.

ყველაზე უფრო პოპულიარული ლოზუნგი—ლოზუნგი ბრძოლისა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის—წამოაყენა კომინტერნმა. ამით კომინტერნმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკე ქვეყნებში სწორ ხაზს პროფკავშირების საკითხში მისი ცხოვრებაში გატარების დროს იგივე საშიშროება მოელის, როგორც ერთიანი ფრონტის ტაქტიკასაც საერთოდ. პირველი საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ ამ საკითხს უდგებიან, როგორც უმნიშვნელო მანევრს. მეორე საშიშროება მდგომარეობს მეორე უკიდურესობაში: ზოგიერთები მოითხოვენ სასწრაფოდ შესვლას რეფორმისტულ პროფკავშირებში მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში არსებობენ უფრო ძლიერი რევოლიუციონური პროფკავშირები.

ინგლის-რუსეთის კომიტეტი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. უკანასკნელი ცნობები აღნიშნავენ, რომ მზადება ამ კომიტეტის შექმნისათვის წარმატებით მიმდინარეობს. მემარჯვენე ამსტერდამელები რამოდენიმეთ აღელვებული არიან ინგლისელების მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებით, რომელიც შეეხება ოფიციალური კონფერენციის მოწვევას რუსეთის პროფკავშირებთან ერთად. ჩვენ ვიცავთ წინანდელ ხაზს და მომავალშიაც ვიბრძოლებთ პროფმოძრაობის მთლიანობისათვის; ამავე დროს ჩვენ არ ჩავარდებით უკიდურესობაში. ჩვენს კამპანიას პროფკავშირების საკითხში დიდი მომავალი აქვს იმიტომ, რომ მას ცოცხალი ორგანიული კავშირი აქვს იმ პროცესებთან, რომლებსაც ადგილი აქვს ინგლისის მუშათა მოძრაობის შიგნით და პროგრესიული ხასიათის იმ ტენდენციებთან, რომლებიც მასში ვითარდებიან. მთელ რიგ წლების განმავლობაში ენგელსი ეძებდა გასაღებს ინგლისის მუშათა მოძრაობის პრობლემის გადაწყვეტათ. მაგრამ მარქსიზმი ვერ შეიჭრა ინგლისის მუშათა მოძრაობის ფართო მასებში, რადგან იმ ხანებში ობიექტიური მდგომარეობა ხელს არ უწყობდა ამ პრობლემის გადაწყვეტას. ასეთ გასაღებს ეძებდა აგრეთვე ლენინიც. თქვენ გახსოვთ, ალბათ, რომ მეორე კონგრესზე დაიწყო დისკუსია იმის შესახებ, რომ უნდა შევიდეს თუ არა კომუნისტები მუშათა პარტიაში. ეს არ არის საორგანიზაციო საკითხი—ჩვენ ვეძებდით გასაღებს ინგლისის მუშათა მოძრაობის პრობლემის გადასაწყვეტათ. ინგლისის მუშათა მოძრაობა გამოცანა იყო არა მარტო მარქსის და ენგელსის ეპოქაში. მე ვფიქრობ, რომ მესამე ინტერნაციონალმა, ლენინის წყალობით, გამონახა ეს გასაღები. ჩვენი თვალის წინ იქმნება ახალი პირობები ინგლისის მუშათა მოძრაობაში. ტირაჟი კვირეული გაზეთისა, რომელიც ამას წინათ გამოსცეს ჩვენმა ამხანაგებმა ინგლისში, სწრაფათ იზრდება. ახალგაზრდა ინგლისელი კომუნისტი წინ მიიწევს, რასაც ხელს უწყობს, ერთის მხრივ, ინგლისის ობიექტიური მდგომარეობის შეცვლა და, მეორეს მხრივ, ის, რომ ინგლისელი კომუნისტები დადგენ სწორ გზაზე, რომლის საშუალებითაც ისინი შესძლებენ ინგლისის პროლეტარიატის უმრავლესობის დაპყრობას.

კომპარტიების ბოლშევიზაცია.

აი ის პირობები, რომლებშიაც დაიწყო პარტიის ბოლშევიზაცია. ჩემი თეზისები ბოლშევიზაციის საკითხის შესახებ საკმაოთ ვრცლათ არის შედგენილი და მე შემიძლია დავკმაყოფილდე მხოლოდ ზოგიერთი დამატებებით.

5-თე საერთაშორისო კონგრესის თეზისების გამოქვეყნების შემდეგ მრავალმა ამხანაგებმა ბოლშევიზაციის ლოზუნგი გაიგეს ისე, თითქოს საჭიროა მხოლოდ პარტიის ორგანიზაციული გარდაქმნა საწარმოო უჯრედების საფუძველზე. ჩემს თეზისებს საფუძვლათ უდევს ის აზრი, რომ ბოლშევიზაციის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს სწორი პოლიტიკური ხაზის შემუშავებასა და გატარებაში.

სწორი პოლიტიკისათვის საჭიროა სწორი ორგანიზაცია. რეორგანიზაციის მოხდენა მექანიკურათ არ შეიძლება. რას ნიშნავს ბოლშევიზაცია იმ პირობებში, რომლებსაც ჩვენ ეხლა ვხედავთ? არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ბრძნული თქმულება: **„Век живи, век учись".** ბოლშევიზაციის გატარება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მუდამ უნდა მივილტვოდეთ ბოლშევიზაციისაკენ, მუდამ უნდა ვსწავლობდეთ ლენინიზმის საფუძვლებს. რუსეთის გამოცდილების მექანიკურათ გადატანა სხვა ქვეყნებში არ შეიძლება იმიტომ, რომ ბურჟუაზიამაც აგრეთვე მხედველობაში მიიღო „ოქტომბრის გაკვეთილები". ეს არ უნდა დავივიწყოთ. რუსეთის რევოლიუციის შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რევოლიუცია სხვა ქვეყნებში დაახლოვებით ისეთივე გზით წავა, როგორც ჩვენი რევოლიუცია. ეხლა ყველასათვის ნათელია, რომ ეს რევოლიუციები უფრო სხვა გზით წავლენ, ვიდრე რუსეთის რევოლიუცია. ბოლშევიზაცია მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის და აგრეთვე სხვა ქვეყნების ბრძოლის გამოცდილებიდან ამოღებული იქნეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გაკვეთილები და ისინი შეფარდებული იქნეს ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტიულ პირობებთან.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური შემადგენლობა. ჩვენდა სამარცხვინოდ, მე უნდა ვსთქვა, რომ მე შემხვედრია ისეთი „ბელადები", რომლებიც კითხვებზე, თუ რამდენია მათ ქვეყანაში გლეხები, მორცხვათ მიპასუხებდენ: „ამის თქმა სისწორით მე არ შემიძლია" ის ამხანაგი, რომელიც მე მხედველობაში მყავს, გამოსულია იმ ქვეყნიდან, სადაც გლეხთა მოსახლეობა დიდია; ეს ამხანაგი ჩვენს პარტიაში გადმოვიდა პროფმოძრაობის ოპოზიციიდან. თქვენ ხედავთ, რომ ასეთ ელემენტარულ და ამასთანავე მნიშვნელოვან კითხვაზე ზოგიერთ ჩვენგანს არ შეუძლია სწორი პასუხის გაცემა. აქ უკვე დახმარებას ვერ გაგვიწევს არავითარი თეზისები ბოლშევიზაციის შესახებ. ასეთი პირები ტყუილა სთვლიან თავის თავს ბოლშევიკებათ. დღე პირველ რიგში მათ უნდა შეისწავლონ თავისი საკუთარი ქვეყნის სოციალური სტატისტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში თეზისები ბოლშევიზაციის შესახებ მათთვის დაუწვდომელ წიგნათ დარჩება.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად მთელი რიგი ჩვენი პარტიები განიცდიან ისეთ პერიოდს, როდესაც მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორეთ ომის წინახანების ბოლშევიზმის შესწავლას. ზოგიერთი ჩვენი პარტიები სწორეთ ეხლა შედიან ბრძოლის და განვითარების ისეთ ფაზაში, როდესაც გაძლიერებული მნიშვნელობა ეძლევა ომის წინა ხანების ბოლშევიზმის პოლიტიკის, ტაქტიკის და ორგანიზაციის პრინციპების შეთვისებას.

ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ პროფკავშირების და გლეხობის შორის მუშაობის სფეროში, და აგრეთვე კოლონიებში.

სოფლათ მუშაობას მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევ. საჭიროა ერთმანეთისაგან გავარჩიოთ გლეხთა სტიქიური მოძრაობა, ერთის მხრივ, და გეგმაშეწონილი მუშაობა, კომუნისტური ინიციატივა სოფლათ მეორეს მხრივ. მუშაობა გლეხთა შორის იწყება, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მის გამარჯვებელ ლოზუნგს. ასეთი ლოზუნგია „მუშათა და გლეხთა მთავრობა" მეხუთე საერთაშორისო კონგრესის გაგებით. შეცდომა იქნებოდა მასზე უარი გვეთქვა იმიტომ, რომ ბრანდლერმა და რადეკმა მას სახელი გაუტეხეს.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკა.

გადავდივარ ერთიანი ფრონტის ტაქტიკაზე. ეს ტაქტიკა არა თუ არ ეწინააღმდეგება ბოლშევიზაციას, არამედ მისი შემადგენელი ნაწილია. ამ ტაქტიკის გარეშე არ არსებობს ბოლშევიზაცია. ბოლშევიკი უპირველეს ყოვლისა მასიური მოღვაწეა. მასიურ მომუშავეს კი მუდმივი კავშირი უნდა ჰქონდეს მუშათა მასებთან, მათ რიცხვში სოციალ-დემოკრატიულ და უპარტიო მასებთან.

ორიოდე სიტყვით შევეხები იმ ნაწილობრივ მოთხოვნილებებს, რომლებიც უნდა წამოაყენონ პარტიებმა მუშების ყოველდღიური ბრძოლის პროცესში. ეს საკითხიც აგრეთვე შედის ბოლშევიზაციაში. ნაწილობრივი მოთხოვნილებები ჩვენ უნდა წამოვაყენოთ. დღევანდელ ეპოქაში ჩვენ უნდა გავატაროთ ნაწილობრივი მოთხოვნილებების სწორი, გონივრული, გეგმაშეწონილი და მოფიქრებული ტაქტიკა; ამასთანავე ჩვენ არ უნდა შევუწყვიტოთ რევოლიუციონური ბრძოლა და ბოლშევიზაციის საქმეში არ უნდა შევიტანოთ რეფორმისტული იდეები. ამრიგათ, ნაწილობრივი მოთხოვნილებები სწორეთ ეხლანდელ მომენტში ჩვენი ტაქტიკის შემადგენელ ნაწილს შეადგენენ.

არიან ჩვენ შორის საშიში მემარჯვენე კომუნისტები, რომლებიც უკვე ეხლავე გვაძლევენ წინადადებას იმის შესახებ, რომ ჩვენ ერთბაშათ შევცვალოთ პოლიტიკა და გავატაროთ „ახალი" ტაქტიკა. ჩვენ ეხლავე უნდა გავუწიოთ წინააღმდეგობა ასეთ ტენდენციებს. მართალია, დასავლეთ ევროპაში ამჟამათ არ არის უშუალო რევოლიუციონური ძალთა განწყობილება. მაგრამ განა ამიტომ უნდა ვსთქვათ ჩვენ უარი ბოლშევიზმზე და დათმობაზე წავიდეთ სოციალ-დემოკრატიის სასარგებლოთ, განა ამიტომ უნდა შევადაროთ ჩვენ სიძვირის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაცია რევოლიუციას? სწორეთ პირიქით.

პარტიული ხელმძღვანელების საკითხი

მინდა კიდევ მოკლეთ შევეხო პარტიული ხელმძღვანელების პრობლემას. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კრებაზე ხელმძღვანელების შერჩევის პრობლემის წამოყენება—ხანდახან სახიფათოა. მაგრამ საქმე საკითხის სუბიექტურ მხარეში კი არ არის, არამედ ობიექტიურ მიდგომაში პრობლემისადმი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბოლშევიზაციის საქმეში. ჩვენ ამ საკითხს კონკრეტიულათ უნდა მივუდგეთ. განა წარმოსადგენია ისეთი მდგომარეობა, რომ უმაღლეს ხელმძღვანელთა შემადგენლობა არ შეიცვალოს, არ გადახალისდეს ახალი ელემენტებით? არა. მართალი არიან ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ ჩვენ არ ვიცით იმ ძველი ბელადების დაფასება, რომელთაც დიდი პოლიტიკური გამოცდილება აქვთ? არავითარ შემთხვევაში.

ბოლშევიზაციის საკითხს ჩვენ ვაყენებთ ლენინიზმის ნიადაგზე. თუ რა არის ლენინიზმი, როგორი ახალი დასკვნებით გაამდიდრა მან მარქსიზმის თეორია, ჩვენ ეს დაწვრილებით აღვნიშნეთ თეზისებში. მე იძულებული ვარ განვაცხადო, რომ ყველა ამხანაგებს არ ესმით ურთიერთობა მარქსიზმსა და ლენინიზმს შორის. ლენინი წარმოუდგენელია მარქსის გარეშე. ლენინი—მარქსის მოწაფეა. ლენინიზმი არის ჩვენი ეპოქის მარქსიზმი. მარქსის უდიდესი მოწაფე—ლენინი დაწვრილებით სწავლობდა რევოლიუციონერების ძველი თაობის თეორიას და პრაქტიკას, ის ახალგაზრდა თაობას ასწავლიდა პატივისცემას იმ რევოლიუციონერების მიმართ, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადეს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

დასკვნა

ჯამს უკეთებთ რა ნათქვამს, ჩვენ იძულებული ვართ აღვნიშნოთ მთელი რიგი არასასიხარულო ფაქტები, ნაკლულევანებანი და დეფექტები ჩვენს მუშაობაში. ჩვენ პირდაპირ უნდა შევხედოთ ჭეშმარიტებას თვალებში. ჩვენ სერიოზული ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ მემარჯვენე საშიშროების წინააღმდეგ. ბოლშევიზაციის ლოზუნგი წარმოიშვა მემარჯვენე ტენდენციების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში. ჩვენ მომავალშიაც უნდა ვიბრძოლოთ მემარჯვენე და აგრეთვე უკიდურეს მემარცხენე გადახრის წინააღმდეგ ახალ სიტუაციასთან შეგუება, ამავე დროს მარქსიზმის საფუძვლების დაუმახინჯებლათ დაცვა—ეს სრულებით არ ნიშნავს ოპორტუნიზმს. ეს—კომუნისტის რევოლიუციონური მოვალეობაა. გამარჯვებამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. გზის მიმართულება წინანდელი რჩება, **ჩვენი ნებისყოფა შეუდრეკელია, როგორც ჩვენი დიდი მიზანი".**

ამხ. ლოზოვსკის მოხსენება

პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ

მოსკოვი. 2 აპრილი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის 1 აპრილის სხდომაზე გამოვიდა ვილკოვსკი (პოლონეთი), რომელიც შეეხო ბაგინსკის და ვეჩორეკის მოკვლას. შემდეგ პლენუმი გადავიდა პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხზე. ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ლოზოვსკი.

ვინ უშლის ხელს მთლიანობას

„კომინტერნის 5-ე კონგრესის პოზიციის სისწორე პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხში წარსულ პერიოდში ფაქტებით დადასტურდა. არა მარტო კამპანიის წარმოების საშუალება, არამედ ამისთვის არჩეული მომენტი სწორი აღმოჩნდა.

პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოთ კამპანიის ჩატარება მრავალ დაბრკოლებთანაა დაკავშირებული. პროფკავშირთა მოძრაობაში არასოდეს არ ყოფილა მთლიანობა. პროფკავშირები ყოველთვის დაყოფილი იყვნენ პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური და რასიული ნიშნების მიხედვით. საქმე ეხება არა მარტო გაერთიანებულ რეფორმისტულ მუშათა დაპყრობას, არამედ იმ მასების დაპყრობასაც, რომლებიც იმყოფებიან სხვა გაერთიანებებში ან სრულიად დარაზმული არ არიან. **სოციალ-დემოკრატები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ მთლიანობის დამყარების ცდას და უარს ამბობენ ყოველგვარ წინადადებაზე ამ მიმართულებით.** პროფმოძრაობის მთლიანობის დამყარება შეიძლება მხოლოდ კლასთა ბრძოლის საფუძვლებზე. ამსტერდამელების თავგამოდებული ბრძოლა მთლიანობის დამყარების ცდის წინააღმდეგ აიხსნება იმით, რომ სოციალ-დემოკრატებს არ სურთ კლასთა ბრძოლის წარმოება.

გადახრები პროფმოძრაობაში

ლოზოვსკი აღნიშნავს 5 მთავარ გადახრას, რომელიც შემჩნეულია პროფმოძრაობის მთლიანობის კამპანიის ჩატარების დროს;

პირველი—საორგანიზაციო კონსერვატიზმი;

მეორე — შეხედულება, თითქოს ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის წარმოადგენს უბრალო მანევრს;

მესამე—მთლიანობის მიღწევის ცდა, რათაც არ უნდა დაჯდეს;

მეოთხე—ტენდენცია, მიმართული სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებისაკენ;

მეხუთე—ტენდენცია რეფორმისტულ პროფკავშირებში უბრალოდ მექანიკურად შესვლის სასარგებლოთ.

შემდეგ ლოზოვსკი იხილავს მთლიანობის საკითხს სხვადასხვა ქვეყნებში.

მთლიანობის საკითხი სხვადასხვა ქვეყნებში

საბჭოთა კავშირში ჩვენ გვაქვს პროფმოძრაობის სრული მთლიანობა.

ინგლისში არსებობს ერთიანი, დარაზმული პროფკავშირთა მოძრაობა მნიშვნელოვან რევოლიუციონურ უმცირესობით. აქ ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა ხელი შეუწყოთ უმცირესობას მთელი პროფმოძრაობის მარცხნისაკენ გადახრის მიზნით.

გერმანიაში გაბატონებულია ძალიან დიდი ცენტრალიზმი. ადგილობრივი ორგანიზაციები არ სარგებლობენ მოქმედების თავისუფლებით და პოლიტიკურად შებორკილები არიან. გერმანიის ამოცანაა—ბრძოლა პროფმოძრაობის დეცენტრალიზაციისათვის.

საფრანგეთში შრომის რევოლიუციონურ უნიტარულ კონფედერაციას ჰყავს მუშათა კლასის უმრავლესობა. შრომის კონფედერაციის რეფორმისტები აცხადებენ, რომ ისინი მხარს არ დაუჭერენ მთლიანობას.

საფრანგეთში ბრძოლა მთლიანობისათვის უნდა სწარმოებდეს ქვევიდან.

ამერიკაში პროფკავშირებს აქვთ აშკარა რეაქციონური ხასიათი და აშკარად უჭერენ მხარს კულიჯს.

აქ ბრძოლას ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლისათვის და პროფკავშირთა ბიუროკრატიის გამყიდველობის წინააღმდეგ აქვს რევოლიუციონური მნიშვნელობა.

ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების თანამშრომლობა

ინგლისის და საბჭოთა პროფკავშირების თანამშრომლობა წარმოადგენს მთლიანობისათვის ბრძოლის უძლიერეს ფაქტორს. **ახლო მომავალში გაიხსნება ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა კონფერენცია, რომელზედაც საბჭოთა პროფკავშირთა წარმომადგენლები დააყენებენ საკითხს მთლიანობისათვის გაერთიანებული ძალღონით ბრძოლის შესახებ.**

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროფკავშირთა მოძრაობას კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში: ჩინეთში, იავაში, ინდოეთში და სხვ. მომავალმა ერთიანმა ინტერნაციონალმა უნდა შემოიკრიბოს მთელი მსოფლიოს მუშები და არა მარტო ევროპის პროფკავშირები.

კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ

მოსალოდნელია კაპიტალის ახალი შემოტევა. საჭიროა დაირაზმოს მუშათა კლასი ახალი კაპიტალისტური იერიშის მოსაგერიებლათ. მუშათა კლასი ინსტინქტიურად გრძნობს კაპიტალის შემოტევის მოახლოვების საშიშროებას და ეძებს გზებს პროფკავშირთა მთლიანობის აღსადგენათ.

დასკვნა

დასკვნები, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ პროფმოძრაობის, დღევანდელ მსოფლიო მდგომარეობის და კერძოთ კაპიტალის ახალ შემოტევის საკითხში ჩვენი ტაქტიკიდან, შემდეგია:

საჭიროა შეიქმნას პროფმოძრაობის მთლიანობის რაც შეიძლება მეტი ორგანოები—მთლიანობის კომიტეტები, შერეული კომისიები და სხვა.

საჭიროა შევქმნათ კოალიცია ამსტერდამის მემარცხენე ფრთასთან მთლიანობისათვის საბრძოლველათ.

საჭიროა გავაძლიეროთ ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების თანამშრომლობა, რომელიც მიმართულია მთლიანობის აღდგენისაკენ, განვამტკიცოთ პროფესიონალური მოძრაობა კოლონიებში და გავაძლიეროთ ჩვენი საკუთარი ორგანიზაციები.

„მთლიანობისათვის ბრძოლა რევოლიუციის ორ ტალღათა შორის მდებარე პერიოდში,—ამბობს ლოზოვსკი—წარმოადგენს ბრძოლას მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობისათვის, ბრძოლას რევოლიუციისათვის.

ლოზოვსკის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: პკისმა და ჰაკენმა (ჩეხო-სლოვაკია), გალახერმა (ინგლისი), გარუსმა (ჩეხო-სლოვაკია), ვიოლამ (იტალია), ვილკოვსკიმ (პოლონეთი).

ვილკოვსკის სიტყვით დასრულდა პლენუმის დილის სხდომა.

რეზოლუცია პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ

მოსკოვი, 2 აპრილი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის საღამოს სხდომაზე ლოზოვსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ბრძოლამ მთლიანობისათვის სავსებით დაამტკიცა 5 კონგრესის პოლიტიკური ხაზის სისწორე.

კლასთა ბრძოლის დღევანდელი განვითარება აძლიერებს ფართო მასების ლტოლვას მთლიანობისაკენ.

პლენუმი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ინგლისის და საბჭოთა პროფკავშირების კონფერენციას და მოუწოდებს ყველა ქვეყნების მუშებს ინგლის-საბჭოთა პროფკავშირთა ბლოკის შექმნისაკენ საერთაშორისო მასშტაბით პროფმოძრაობის მთლიანობისათვის საბრძოლველად.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს გაფართოებული პლენუმი

მოსკოვი. 2 აპ. 30 მარტის საღამოს სხდომაზე (და 31 მარტის დილის სხდომაზე) განხილული იქნა საქონლის გატარების ქსელის გაფართოების და კოოპერაციის საკითხები. [illegible] საგანს შეადგენდა ფინანსთა სახ. კომისარის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენებები.

საბჭოთა კოოპერაციის ზრდა

ფინანსთა სახ. კომისარის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ წარსულ წელს მნიშვნელოვანად გაიზარდა კოოპერაცია, უმთავრესად სამომხმარებლო. სავაჭრო კაპიტალი, რომელიც კავშირის ტერიტორიაზე იყო ბრუნვაში, 1924 წ. 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 1800 მილიონ მანეთს. აქედან სახელმწიფო კაპიტალზე მოდიოდა 42 პროც., კერძოზე—10 პროც. და კოოპერაციაზე—48 პროც.

კერძო კაპიტალი წარმატებით იდევნებოდა კოოპერაციის მიერ არა მარტო ცენტრში, არამედ პატარა ქალაქებში, ქალაქ გარედ ვაჭრობიდან, ბაზრიდან და ქუჩიდან. **კოოპერაციამ დააკმაყოფილა სოფლის სავაჭრო ბრუნვის მთელი მოთხოვნილება 1923—24 წელს. ამავე დროს კერძო ვაჭრობა ეცემოდა შედარებითაც და აბსოლიუტურადაც.**

სამომხმარებლო კოოპერაცია

სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი სისტემის ბალანსი 9 თვის განმავლობაში—1923—24 წ.წ. გაიზარდა 50 პროცენტით და 1924 წლის 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 667 მილიონ მანეთს. მთელი თავის დავალიანება 1924 წ. 1 ოქტომბრისათვის სამომხმარებლო კოოპერაციის შეუძლია დაფაროს 10 კვირის ბრუნვით. აქედან ფინანსთა სახ. კომისარს თავის მოხსენებაში გამოჰყავს დასკვნა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციას აღარ ესაჭიროება თავის საკუთარ თანხების გადიდება ექსტრაორდინალურ ფინანსიურ ღონისძიებებით. საქმე ეხება მხოლოდ კოოპერაციის საშუალებათა ზრდას საპაიო გადასახადების მობილიზაციის და მისი ვაჭრობის რენტაბელობის გაძლიერების გზით.

კოოპერაციის მთელი მოგება 1923—24 წ.წ. შეადგენდა დაახლოვებით 500 მილიონ მანეთს, მაგრამ ამ თანხიდან კოოპერაციამ წმინდა მოგების სახით მიიღო უმნიშვნელო ნაწილი, რაც აიხსნება ზედნადებ ხარჯების სიდიდით. ზედდართულ ხარჯების შემცირებისათვის ბრძოლა წარმოადგენს სამომხმარებლო კოოპერაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საორგანიზაციო ბალანსი ხასიათდება სესხის წონაწილობით, რაც ბალანსის საერთო ჯამში 336 მილიონ მანეთში შეადგენს 435 მილიონ მანეთს. კოოპერაციის საკუთარი თანხები უდრის 100 მილიონ მანეთს. ამასთანავე ეს თანხები უმთავრესად დაბანდებულია ქონებასა და ფასიან ქაღალდებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიმართ ფინანსთა სახ. კომისარიატი საჭიროდ სთვლის მუშაობის გამიჯვნას სამომხმარებლო კოოპერაციასთან და მისთვის მიცემას კრედიტის ვადის შეთანხმებას მის ნორმალურ ბრუნვასთან. **ბიუჯეტის მიხედვით საშუალებათა განაწილების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე,** ვინაიდან მას თავის ამოცანების მიხედვით ესაჭიროება გრძელვადიანი კრედიტი.

სამრეწველო კოოპერაცია

სამრეწველო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ ამომწურავი ცნობები არ მოიპოვება. **სამრეწველო კოოპერატივთა კავშირმა 1923—24 წელი დაამთავრა ზარალით 1.300.000.000 მანეთით, როდესაც მისი წლიური ბრუნვა უმნიშვნელო იყო—4 მილ. მანეთი.**

ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობა

სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება სავაჭრო ორგანოების კაპიტალის შესახებ აღნიშნავს სავაჭრო კაპიტალის ნაკლულოვანებას. სახელმწიფო ვაჭრობას თითქმის არავითარი საშუალება არ მიუღია სახელმწიფოსაგან, ხოლო მრეწველობის პროდუქცია სწრაფად იზრდება.

ამ ჟამად ბრუნვაში დაბანდებულია დაახლოვებით 150 მილიონი მანეთი სამორტიზაციო კაპიტალი, რომელიც მრეწველობამ დააგროვა. ძირითად თანხის აღდგენის მიზნით ეს თანხები ახლო მომავალში უნდა იქნას ამოღებული ბრუნვიდან და მოხმარდეს პირდაპირ დანიშნულებას.

სამომხმარებლო კოოპერაციასთან ერთად ფინანსიური დახმარება ესაჭიროება სახელმწიფო ვაჭრობასაც.

ფასების თანდათანობითმა დაკლებამ შეაჩერა სავაჭრო დაგროვების პროცესი. ცნობები 9 სინდიკატის შესახებ 1923—24 წ. ამტკიცებს, რომ საერთოთ წლიწადი დამთავრებულია დეფიციტით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეფიციტი საფეიქრო სინდიკატში.

საჭიროდ სთვლის რა პირველ რიგში სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის განმტკიცებას, რასაც მთლიანად უნდა მოხმარდეს ცაკის მესამე სესიის მიერ გადადებული 8 მილიონი მანეთი, სახელმწიფო საგეგმო კომისიას საჭიროთ მიაჩნია სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თანხების გადიდება. 8 მილიონ მანეთის გარდა მას საჭიროთ მიაჩნია კიდევ 15 მილიონი მანეთის გადადება სავაჭრო კაპიტალის გასადიდებლად.

კ ა მ ა თ ი

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობს კოოპერატიულ ცენტრების წარმომადგენლები, რომელთაც წარმოადგინეს შესწორებანი კოოპერაციის ფინანსიურ მდგომარეობის შეფასებაში.

„ცენტროსოიუზის" წარმომადგენელმა, არ უარყო სამომხმარებლო კოოპერაციის უდიდესი მიღწევანი უკანასკნელ წელში და აღნიშნა კოოპერაციის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა. ორატორის სიტყვით, კოოპერაციამ გადაიტანა ფასების ბევრჯერ დაკლების, იძულებითი ასორტიმენტების და კრედიტების მიღების პირობათა გაუარესების სიმძიმე უკანასკნელ თვეებში. ცენტროსოიუზის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციას ესაჭიროება ფინანსიური დახმარება.

ამასვე აღნიშნავდენ სხვა წარმომადგენლებიც ადგილებიდან. უკრაინის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იქ კოოპერაციის ყველა საფეხურებიდან მხოლოდ დაბალი საფეხურის სასოფლო კოოპერაციამ დაამთავრა 1923—24 წელი მოგებით. არ შეიძლება ფინანსიურ დახმარების გარეშე დატოვებული იქნას დაზარალებული საშუალო და ცენტრალური ქსელი, რადგან მისი ზარალი გავლენას მოახდენს დაბალ საფეხურის ქსელზე, რომელსაც აღარ ეყოლება მიმწოდებელი აპარატი.

დიდი ყურადღება მიიპყრო ეროვნულ რესპუბლიკების და ოლქების წარმომადგენლების გამოსვლამ კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში კოოპერაციის მდგომარეობა სპეციფიურია და მძიმე.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი გამოექომაგა მრეწველობას, რომლის სავაჭრო პრაქტიკის წინააღმდეგ გაისმოდა საყვედურები კოოპერაციის წარმომადგენლების მხრივ. მისი სიტყვით, მრეწველობის გაფართოება არაჩვეულებრივი მასშტაბით ხდება. ამავე დროს მრეწველობის დავალიანება საკრედიტო დაწესებულებისადმი მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში გაიზარდა სულ 3 პროცენტით, რაც ამტკიცებს მის სარეზერვო საშუალებათა უკიდურეს დაძაბვას და საქონლის ტრიალისათვის დახარჯების გაწევის გაძნელებას.

ჩივილი იძულებითი ასორტიმენტების შესახებ ყოველთვის სამართლიანი არ არის, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ მაგალითად იმ სულის ნაწარმოების და ცხვირსახოცების მოთხოვნილება, რომელთა მიწოდება ასორტიმენტებთან იწვევდა საყვედურებს, ძალიან გაიზარდა. პირიქით მოთხოვნილება ჩითზე მნიშვნელოვნად შემცირდა.

შემდეგ სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საჭიროა საფეიქრო სინდიკატის კაპიტალის გადიდება, რომლის ბრუნვა მიმდინარე წელს უნდა უდრიდეს 800 მილიონ მანეთს.

შინავაჭრობის სახ. კომისარმა შეიმგამა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ უმთავრეს ამოცანას შეადგენს შინავაჭრო ორგანიზაციების ძირითადი თანხის გაძლიერება. დამატებით 15 მილიონი მანეთი სამომხმარებლო კოოპერაციის ბიუჯეტში შეამსუბუქებს მის მდგომარეობას, მაგრამ ამით მაინც ვერ გადაიჭრება სავაჭრო თანხის საკითხი და გარედან საშუალებათა მოზიდვის მოთხოვნილება მაინც იქნება. დღემდის ბევრს ლაპარაკობდენ კერძო კაპიტალის მოზიდვის შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად ამ მხრივ არაფერი არ გაკეთებულა. დღემდის არ არის გაადვილებული ანგარიშების გასწორების ასორტიმენტების პირობები კერძო კაპიტალისათვის. მრეწველობა თავს იკავებს კერძო ვაჭრებზე საქონლის გაყიდვისაგან. იყო შემთხვევები, როდესაც სამრეწველო ორგანიზაციები უარს ამბობდენ კერძო პირებისაგან თამასუქების მიღებაზე, საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ბლანკითაც კი.

არაფერი არ გაკეთებულა აგრეთვე კერძო კაპიტალისათვის კრედიტების მიცემის და გადასახადებით დაბეგვრის პირობების შემსუბუქების მხრივ. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ კერძო კაპიტალი იწყებს სპეკულიაციას, გაურბის რა კონტროლს. ლაპარაკია არა კერძო კაპიტალის მოზიდვაზე, არამედ მისთვის ნორმალურ მუშაობის საშუალების მიცემაზე. მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ შეგვეძლია უპასუხოთ კითხვაზე: არსებობს თუ არა კერძო კაპიტალი, სურს თუ არა, შეუძლია თუ არა მას ჩვენთან მუშაობა

უკანასკნელი ცნობები

საზღვაო ომის „პრინციპები“

ლონდონი. 1 აპრილი. ლორდთა პალატაში ლორდმა რიდესდალმა იკითხა, გამომუშავებულია თუ არა ბრიტანეთის მთავრობის მიერ საზღვაო ომის პრინციპები. რრიდესდალმა ხაზი გაუსვა ბლოკადის, როგორც საომარ საშუალების, დიდს მნიშვნელობას.

მთავრობის წევრმა მარკიზ სოლისბერიმ ამაზე უპასუხა, რომ არავითარ სარგებლობა არ ექნება ამჟამად ამ საკითხში ინგლისის პოზიციის შესახებ დეკლარაციის გაკეთებას, ვინაიდან საერთაშორისო უფლების ეს პრობლემები რევოლიუციის ხანაში იმყოფებიან.

სოლისბერიმ განაცხადა, რომ მთავრობის პოლიტიკა ამ საკითხში ეყრდნობა უკანასკნელი ომის გამოცდილებას. მას იმედი აქვს, რომ ბოლოსდაბოლოს შეუძლებელი შეიქნება „ამ საკითხებში დამყარდეს რაიმე სამუშლები და უფლებები“ და თუ ხელახლა საჭირო გახდება ომის დაწყება—„რამდენიმედ ყურადღება ექნება მიქცეული ჰუმანიურობისა და ცივილიზაციის პრინციპებს“.

ბაქოს იარმუკის ამოცანები

მოსკოვი, 2 აპრილი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის შინავაჭრობის კომისარიატის კოლეგიის წევრმა სირომოლოტიემ განაცხადა:

„ბაქოს იარმუკის ამოცანას წარმოადგენს სავაჭრო კავშირის განმტკიცება და გაფართოვება საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის, პირველყოვლისა სპარსეთთან. თუ რამდენათ დაინტერესებული არიან სპარსეთის ვაჭრები ბაქოს იარმუკით, ეს გამოირკვა 1922—24 წლების იარმუკებზე. სპარსეთის საქონლის რაოდენობა ამ იარმუკებზე წლიდან წლამდე თანდათან იზრდება.

სამწუხაროდ, წინა წლებში ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა სავსებით ვერ აკმაყოფილებდა სპარსეთის ბაზრის მოთხოვნილებებს საქონლის შერჩევით.

წელს საკავშირო მთავრობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია ბაქოს იარმუკს; მან ნება დართო სხვათა შორის ნავთის პროდუქტებისა და შაქრის თავისუფალ გატანას აღმოსავლეთში. 1925 წლის ბაქოს იარმუკობა დიდ იმედებს იძლევა აღმოსავლეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარების მხრივ, ეს მოვლენა კი ხელს შეუწყობს ჩვენს მეგობრულ დამოკიდებულების განმტკიცებას აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

პოლონეთის ვერაგობის წინააღმდეგ

ხარკოვი, 2 აპრილი. 1 აპრილს შესდგა სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დიდი პრეზიდიუმის სხდომა.

სრ.-უკრაინის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ჩუგაროვმა რიგს გარეშე განცხადა, რომ ამ ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში მასთან განუწყვეტლივ მიდიან ხარკოვის ქარხნების მუშათა დელეგაციები და უკრაინის პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლები, რომელნიც თხოულობენ დაისვას უკრაინის მთავრობის წინაშე საკითხი პოლონეთის მთავრობის მოქმედების შესახებ, რომელიც თავისი გაუგონარი ველურობით ამხედრებს თავის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს. ბაგინსკისა და ვეჩორკევიჩისადმი მხეცური მოპყრობა—გაგრძელებაა ჩვენი წითელი ჯარის მისიასთან ველური მოპყრობისა და ჩვენ საზღვრებზე ბანდიტურ თავდასხმების პოლიტიკისა.

მუშები საჭიროდ სთვლიან მოსთხოვოს უკრაინის მთავრობამ ამის გამო პოლონეთის მთავრობას საჭირო ახსნა-განმარტებანი:

უკრაინის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარმა ლებიტმა განაცხადა, რომ პოლონეთი და რუმინეთი მეტად უდიერათ იქცევიან საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისადმი.

ცაკის თავმჯდომარე პეტროვსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის მთავრობას არ ძალუძს შეაკავოს უკრაინის მუშებისა და გლეხების უკმაყოფილება და ამიტომ საჭიროა საკავშირო მთავრობამ მიიღოს ზომები და ბოლო მოუღოს პოლონეთის ამგვარ მოქმედებასო.

მუშების აღშფოთება.

კიევში, ოდესაში, ხარკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში იმართება მუშების კრებები, სადაც გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის ველურად მოკვლის გამო.

ამხ. ამხ. მარხლევსკის და ვლადიმიროვის ნეშტების გადმოტანა

ბერლინი 1 აპრილი. 1 აპრილს ბერლინში ჩამოიტანეს მარხლევსკის და ვლადიმიროვის ნეშტები. ნეშტებს თან მოჰყვნენ გარდაცვლებულთა ქვრივები და საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული გენუაში.

სრულუფლებიან წარმომადგენლობაში სამოქალაქო პანაშვიდის გადახდის შემდეგ, ვლადიმიროვის ცხედარს გაიცილებენ სილეზიის სადგურამდე, საიდანაც ის გამოსვენებული იქნება მოსკოვში.

ფუთი მარხლევსკის ნეშტით დაკრძალული იქნება ბერლინში გარდაცვლებულის ქვრივის სურვილით.

ამხ. ვლადიმიროვის დასაფლავება,

მოსკოვი 2 აპრილი ვლადიმიროვის დასაფლავება მოხდება 5 აპრილს, მოსკოვში, წითელ მოედანზე.

ვისზე ზრუნავენ

პარიზი. 1 აპრილი. რადგან საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტით მოქალაქეობის უფლებები წაართვა ყველა ემიგრანტებს, რომლებმაც თავის თავი არ სცნეს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებად, მრავალ ათას ლტოლვილს, რომლებმაც დაჰკარგეს წინანდელი ქვეშევრდომობა, ჯერ კიდევ არ მიუღიათ ახალი ქვეშევრდომობა.

ამის გამო „ადამიანის უფლებათა ლიგამ“ წინადადება მისცა მინისტრთა საბჭოს და პრემიერს უფლება მიეცეს საფრანგეთის ადმინისტრაციას დაურიგოს ემიგრანტებს თუ საჭირო იქნება ოფიციალური დოკუმენტები ზოგიერთ რუსულ ორგანიზაციების თავდებობით. ეს წინადადება გადაეცა კომისიას დემონზის თავმჯდომარეობით, რომელი ც ამჟამად სწავლობს რუს ლტოლ-ვილების საკითხს.

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის სანაპირო კომისიის მუშაობა

ერევანი, 2 აპრილი. 29 მარტს შერეულმა სანაპირო კომისიამ განსაზღვრა საბჭოთა სომხეთის და ოსმალეთის საზღვარი მდინარე არაქსზე. საზღვარი მივიდა იმ ადგილამდე, სადაც არპაჩაი ერთვის არაქსს.

30 მარტს კომისიამ ჩამოაყალიბა შეთანხმება, რომელიც მიღწეული იყო საზღვრების შემოვლის დროს.

მუშაობის დროს ამა თუ იმ მხარის წარმომადგენლები იჩენდნენ თავდადებას საერთო ინტერესების უზრუნველსაყოფად. მაგალითად ცხენიები ეძრდებოდნენ მდინარე არაქსში, რათა გაეულიყვნენ მეორე ნაპირზე და გამოერკვიათ მდინარის ღრმის სიღრმე.

განვლილ მანძილზე მცხოვრებთა წყლით სარგებლობის და წყლით სარგებლობის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხები გადაჭრილია სამართლიანად სომხეთისათვისაც და ოსმალეთისათვისაც. ამ ჟამად სანაპირო ხაზი ინიშნება სანაპირო ბოძების ჩაყრით.

4 აპრილისათვის კომისიას განზრახული აქვს მიაღწიოს უკანასკნელ სანაპირო პუნქტს მდინარე არპაჩაი-კილალიზე; იქიდან საზღვარი გაივლის ხმელეთით.

29 მარტს დელეგაციამ გამოსცა ბრძანება, რომელშიაც იგი აღნიშნავს წითელ არმიელის სააპიანის შეგნებას, ძოხერხებას, საქმისადმი ერთგულებას და მის მიერ საზღვრების ზედმიწევნით ცოდნას. უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი იყო მდინარის ტოტის სიღრმის გამორკვევა, სააპიანი მდინარის ფონზე გადადიოდა და განსაცდელში აყენებდა თავის სიცოცხლეს.

ამხ. სააპიანის და სხვების თავდადებულ მუშაობის შესახებ, მადლობის გამოცხადებით ეგზავნება ცნობა მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს, ამიერ-კავკასიის და სომხეთის საგანგებო კომისიებს.

ბაქოს ნავთის საქმის რეორგანიზაცია

ბაქო, 31 მარტი. ცენტრის თანხმობით განზრახულია ნავთის საქმის რეორგანიზაცია; გაძლიერებული იქნება ბურღვა და ნავთის ამოღება ბაქოს ნავთის სარეწავებში. ამისათვის საჭირო იქნება ნავთის ამოღების სისტემის შეცვლა. საჭირო დანგების ნაწილები უკვე მზადდება სორმოვის ქარხნებში და „აზნეფტის“ საკუთარ ქარხნებში. სპეციალისტების აზრით, ახალი სისტემის შემოღების შემდეგ ნავთის ქვეის გატანა შესაძლებელი იქნება 1 ნახ.—2 თვის განმავლობაში.

პარტიული ცხოვრება

რამოდენიმე სიტყვა ნებაყოფლობითი საზოგადოებების შესახებ

წინადადდღით საზოგადოებების ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი. მოწყობის კამპანია უმეტეს რაიონებში უკვე დამთავრებულია და ამ ჟამათ ქალ. თბილისის ფაბრიკებში და ქარხნებში უკვე ჩამოყალიბებულია ამა თუ იმ საზოგადოების უჯრედები.

არსებული ცნობების მიხედვით მოწყობის უჯრედში შედის მუშების მთელი 100 პროც.; ეს, რასაკვირველია, სასიხარულო მოვლენაა, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს მუშების არანორმალურათ ჩაბმა ამ უჯრედებში, სახელდობრ: საერთო კრების დღის წესრიგში, ვსთქვათ, დასმულია მოხსენება „რემედასს“-ის შესახებ. მოხსენების გათავების შემდეგ შემოდის წინადადება იმის შესახებ, რომ ფაბრიკის ყველა მუშები შევიდნენ „რემედასს“-ში. წინადადებას კენჭს უყრიან და ხმების უმრავლესობით ყველა მუშები ვალდებული არიან შევიდნენ „რემედასს“-ის წევრებათ. მომავალში რაიონულმა საბჭოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რომ ძირიანათ აღმოფხვრან მუშების ასეთი წესით ჩაბმა ნებაყოფლობით საზოგადოებებში.

ეხლა ორიოდე სიტყვა ნებაყოფლობით საზოგადოებების უჯრედთა მუშაობის შესახებ. მთელი რიგი ამხანაგები აღნიშნავენ, რომ ეს უჯრედები სიცოცხლის უნარ მოკლებული არიან და მთელი მათი მუშაობა გამოიხატება მხოლოდ საწევრო გადასახადების შეგროვებაშიო ამ განცხადებაში, უეჭველათ, არის სიმართლე, ამიტომ „რემედასს“-ის, ქიმიური საზოგადოების და სხვა ორგანიზაციებია უმაღლესმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები თავისი უჯრედების მუშაობის გასაცხოველებლათ ადგილებზე.

ო.

ს. კ. პ. გორის სამაზრო კომიტეტის პლენუმი

ა. წ. მარტს გაიხსნა საქ. კომ. პარტიის გორის სამაზრო კომიტეტის პლენუმი. პლენუმს დაესწრო ამხ. მ. კახიანი და ქართველიშვილი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის ანგარიში, კოოპრაციის მდგომარეობა მაზრაში და სხვ.

1-ლ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ან. სიამაიშვილმა.

სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევ დან პლენუმამდის გავიდა 4 თვე ნახევარი. ამ ხნის განმავლობაში მეტად ღვალსაჩინო გახდა ის გამარჯვებები, რომლებსაც მიაღწია თავისი ენერგიული მუშაობით სამაზრო კომიტეტმა.

მშრომელი გლეხობა დიდ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა ჩატარებულ კამპანიაში მაგ. საბჭოთა არჩევნებში, გლეხკომების არჩევნებში და სხვა. გახუყობილება ყოფილ მეშველითება და ხელისუფლების ძირის კარგია. საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოადა კიდევ სალიკვიდაციო კონფერენცია ძემარჯვეე სოციალფედერალისტებისა, რომლებიც ერთ დროს გორის მაზრაში მენშევიკებთან შედარებით უფრო მეტ როლს თამაშობდნენ.

რომ სამაზრო კომიტეტს კარგად შეესწავლა ძირითადი პარტ-აპარატების და უჯრედების მუშაობა, ამ მიზნით პარტკომის პრეზიდიუმმა მოახდინა მომზადებული ამხანაგების საშუალებით მათი გადათვალიერება და შესწავლა. ამას გარდა გადათვალიერებული და შესწავლილი იქნა როგორც საბჭოთა აპარატები, ისე კოოპერატიული და პროფესიონალური ორგანიზაციები.

ადგილობრივი ორგანიზაციის შემადგენლობა ასეთია: 752 პარტიის წევრი და 338 კანდიდატი, აქედან მუშები 60 პროცენტია, ხოლო 40 პროცენტი გლეხები და სხვა. წერა-კითხვის უცოდინარობა პარტიის რიგებში შეიძლება ითქვას სავსებით აღმოფხვრილია.

საგიტაციო-საპროპაგანდო დარგში ჩატარებულია მრავალი კამპანია. მაზრაში არსებობს ამ ჟამად 3 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, „რემედასს“-ი მ. გ. ფ. ს., წერკუმსი. განსაკუთრებით ძლიერია „რემედასი“-ს ორგანიზაცია, რომელიც მაზრაში თითქმის 3000 წევრს აერთებს. პარტ. წევრები ყველანი კოოპერატივის წევრებია. სჩანს რომ პოლიტიკური მეკადინეობა პარტიაში ახლად მიღებულთა შორის.

გაზეთ „წითელ ქართლს“ გლეხობაში დიდი გასავალი აქვს, გაფართოვებული იქნა გლეხკორია ქსელი. ტირაჟი გაზეთისა უდრის 3.150 ცალს. პარტსკოლაში მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. სკოლაში თეორიულ საკითხებთან ერთად იჩხვა პრაქტიკული ხასიათის საკითხებიც. ამას წინად დაარსებული იქნა აგრეთვე მოძრავი პარტსკოლა სოფ. მეჯვრისხევში, სადაც მრავალი უპარტიო გლეხები მეცადინეობენ.

კომკავშირის ორგანიზაცია მაზრაში ამ მოკლე ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა უპირატესად მოჯამაგირე გლეხ ახალგაზრდობის ხარჯზედ.

კომკავშირელები ჩაბმული არიან გლეხკომებში და საბჭოებში.

ქალთა შორის მუშაობას ეტყობა გამოცოცხლება. ქალებიც მრავლად გაყვანილია საბჭოებში და გლეხკომებში, ერთ თემში საბჭოს თავმჯდომარეთ ქალია, 3 ქალი კი თემის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. ასეთივე მსგავს სურათს ვხედავთ გლეხკომებშიაც.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილე ამხანაგები განსაკუთრებით ეხებოდნენ სათანადოთ მომზადებულ ამხანაგების უქონლობას ადგილებზე და პარტ-აპარატის გაუმჯობესების საკითხს.

მეორე საკითხის გარშემო, კოოპერატივების მდგომარეობის შესახებ მაზრაში, გამოირკვა რომ კოოპერატივები ადგილებზე ვერ სდგანან სათანადო სიმაღლეზე, რომ კოოპერატივების დიდი ნაწილი დავალიანებული არიან.

ხილის ექსპორტის საქმეს ხელი შეუშალა დიდმა ზამთარმა. ამ ჟამათ მიღებულია ზომები, რათა გაუფუჭებელი ხილის რეალიზაცია მოხდეს სეზონის დამთავრებამდე.

გორის მაზრის ყველა კოოპერატივები საჭიროებენ მთავრობის ხშირ დახმარებას გრძელ ვადიანი სესხის გაცემის სახით.

პარტ აპარატის ძირითადი სტრუქტურის შესახებ პლენუმმა გამოთქვა აზრი, რომ დარჩეს რაიონული სისტემა, მხოლოდ გადიდებული იქნეს შტატი.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ქალთა განყოფ. გამგის მოხსენება მომავალ მუშაობის შესახებ.

ქ. მგ—ძე.

პარტიული მუშაობა შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრა შედარებით საქართველოს სხვა მაზრებთან ერთერთ სამრეწველო რაიონად ითვლება. ამიტომ ზემოხსენებულ მაზრის პარტორგანიზაცია თავის გარშემო იკრებს მუშების საკმაო რიცხვს.

საბჭოების ურთიერთ დამოკიდებულება პარტიის ქვედა აპარატებთან ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ინსტრუქტორები ძიერ უფულთვიურად ხდება რაიონების და თემების შემოვლა.

ხამთრის პერიოდში მაზრკომის წინაშე მთავარ ამოცანად იდგა ორგანიზაციის არა რაოდენობითი ზრდა არამედ თვისობრივი გაუმჯობესება—პარტიის წევრების ბოლშევიკურად აღზრდა.

ამასთანავე სამკომის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა გაეტარებინა ცხოვრებაში ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილებები.

პარტიაში ახლად მიღებულ წევრებს შორის მუშაობის საჭარმოებლად გამოყოფილია მომზადებული ამხანაგები, რომლებიც წრეებში აწარმოებენ მეცადინეობას.

მუშაობა საგიტაციო-საპროპაგანდო დარგში.

შორაპნის მაზრას არ ჰყავს სათანადოთ მომზადებული ძალები. წინად შორაპანში არსებობდა 1-ლი საფეხურის საბჭოთა პარტ-სკოლა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო დახურულ იქნა და შეერთებული ქუთაისის პარტ-სკოლასთან.

შეფობის საქმე მაზრაში ვერ მიმდინარეობს საჭიროდ.

საშეფო სოფლები ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. ამ რამოდენიმე ხნის წინად მაზრის აგიტ-პროპის მიერ მოწვეულ იქნა მასწავლებელთა კონფერენციები ჩატარებულ იქნა აგრეთვე ყველა რაიონების და თემების მასშტაბით უპარტიო გლეხთა კონფერენციები, რომლებზედაც ირჩეოდა მშრომელი გლეხკობისათვის მეტად საინტერესო საკითხები როგ. არის უპარტიო კონფერენციების მნიშვნელობა, ადგილობრივ თემაღმასკომის მუშაობა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ადგ. გლეხკომის მუშაობა, ქოხ-სამკითხველოების მნიშვნელობა და გლეხური გაზეთ „ახალი სოფლის“ გამოწერა. მაზრაში თითქის ყველა გაზეთებია გამოწერილი.

ამასთანავე ადგილობრივად გამოდის გაზეთი „წითელი მაღაროელი“.

შორაპნის მაზრაში წერა-კითხ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე მიმდინარეობს დაკვრითი წესით, რასაც ამტკიცებს ლიკ-პუნქტების საერთო რაოდენობა, რომელიც 270, მდე აღწევს. ამ სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმულია 4500 მსმენელი, რომლებიც დიდი ხალისით მეცადინეობენ.

კირ. პატარაია.

წარმოკავშირის რწმუნებულთა მესამე ყრილობა

მეექე სხდომა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოქმედება

(მოხსენებელი ამხ. კაკაბაძე)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქ. სას.-სამეურნეო ბანკის არსებობა განისაზღვრება მხოლოდ ერთი წლით. ბანკის ძირითადი თანხა უდრის მხოლოდ 1.418.751 მან. 70 კაპ. ამ თანხის ნახევარზე მეტი ირიცხება ძნელად გასანაღდებელ სესხად მიცემულ აქტივებში. ამგვარად რეალურად საბრუნავი თანხა არ აღემატება 600—700 ათასს მანეთს. ამ თანხით ბანკი მოქმედებას შეუდგა 1924 წლის შემოდგომიდან, როდესაც დაიწყო სოფლის მეურნეობისათვის ფართე მასშტაბით კრედიტის მიწოდება. ამ მიზნით საქ. სასოფ.-სამეურნეო ბანკი იყენებდა აგრეთვე საბჭოთა საკავშირო და ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკების კრედიტებს.

ბანკის 1924 წლის პირველი ოქტომბრის ბალანსის 22 პროცენტი (726.349 მანეთი) იყო გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიზნით. ა.-წ. პირველი მარტის ბალანსიდან სოფლის მეურნეობის სესხი უდრის 1.646.141 მანეთს ანუ 39 პროცენტს.

სესხის უმეტესი ნაწილი გაცემულია საკრედიტო ამხანაგების გზით, რომელიც ბანკის გამგეობის აზრით, ერთი მხრივ ფინანსიურად ამაგრებს საკრედიტო ამხანაგობებს, მეორე მხრივ, გლეხისათვის აიაფებს სესხს, მესამედ ძირითად საკრედიტო კოოპერაციის უქმნის გლეხთა ფართე მასებში ნდობას, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება ანაბარების სახით ადგილობრივი თანხების მიზიდვა.

მიმდინარე წლის კრედიტის მოთხოვნილება გამოანგარიშებული იყო 19 მილიონზე მეტი, ფაქტიურად კი ბანკს შეუძლია გასცეს წლიურად 3 მილიონი მან. სესხი, ე. ი. მოთხოვნილების — 15—16 პროც.

ბანკმა თავის არსებობის პირველ წელიწადს შესძლო დაარსება, 105-მდე საკრედიტო ამხანაგობა. ამ მოკლე ხანში (ერთს თვეში) ამ რიცხვს მიემატება კიდევ ახალი 25 საკრედიტო ამხანაგობა. ამგვარად 1500—3000 კომლს ექნება რაიონის ცენტრში ერთი საკრედიტო ამხანაგობა.

გარდა გლეხობაზე ფულად გაცემული კრედიტისა, ბანკმა საკრედიტო ამხანაგობებისათვის გაიოწერა საზღვარგარეთიდან 29 ათასი ფუთი შაბიამანი, 15 ათასი ფუთი გოგირდი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები სულ 500 ათასი მანეთისა.

შიაწოდო ამხანაგობებს—62.000 ფუთი საკვები და სავა.

ძვირფასი მცენარეების კულტურისათვის ბანკს აქვს გამოტანილი რამოდენიმე ასი ათასი მანეთი მომავალ გაზაფხულზე და ზაფხულზე ამ მიმართულებით მუშაობის დასაწყებად.

დასასრულ მომხსენებელი ყრილობას აცნობს თავის დებულებებს საკრედიტო კოოპერაციის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ურთიერთობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. მთელი რიგი ორატორების მოითხოვდნენ, ძირითადი საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობათა შესვლას, წარმოკავშირის სისტემაში იმ მიზნით, რომ მოისპოს საქმისთვის მავნებელი პარალელიზმი.

ეცხრე სხდომა

მეხუთე დღის დილის სხდომაზე საინფორმაციო მოხსენებას აკეთებს საზოგადოება „აბრეშუმის“ წარმომადგენელი, რომელიც ყრილობას აცნობს ახლად დაარსებული საზოგადოების მიზნებს და დანიშნულებს და აგრეთვე მოკლე მიმოხილვას უკეთებს საზოგადოების საქმიანობას.

საგლეხო სესხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ა | კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. **შავგულიძე.** აცნობს რა საგლეხო სესხის გავრცელების დღევანდელი მდგომარეობას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მთელს ა | კავკასიაში საგლეხო სესხის გავრცელების საქმეში საქართველოს უჭირავს პირველი ადგილი. თუ სომხეთში გავრცელებულია მასზე შეწერილ ობლიგაციების 8—10 პროცენტი, ხოლო აზერბეიჯანში 13—15 პროც. საქართველოს გლეხობამ შეიძინა ობლიგაცია 30 პროც. დასასრულ მომხსენებელი მოუწოდებს ყრილობის დელეგატებს გასწიონ პროპაგანდა და საგლეხო სესხს მოუპოვონ უფრო მეტი პოპულიარობა გლეხთა ფართე მასებში.

ძირითადი საორგანიზაციო საკითხები

(მომხსენებელი ამხ. ღივჭივაძე)

მომხსენებელი ეხება რა ძირითად საორგანიზაციო საკითხებს, ამბობს, წარმოკავშირის სისტემის საფუძვლად უნდა დაიდოს ორგვარი მშენებლობა ზოგ შემთხვევაში სამსაფეხურიანი სისტემა: სამსაფეხურიანი ძირითადი კოოპერატივი—რაიონული კავშირი და წარმოკავშირი.

ზოგჯერ კი ორსაფეხური ძირითადი კოოპერატივი და წარმოკავშირი შემდეგ მომხსენებელი ეხება თვითეული კოოპერატიულ საფეხურის სამოქმედო რაიონს, წევრთა შემადგენლობას აგრეთვე თვითეული საფეხურის ამოცანებს საორგანიზაციო, კულტურული კოოპერატიული მომარაგების, გასაღების და გადამუშავების სფეროებში და სხვა.

განათლების მუშაკთა მეოთხე ყრილობა

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე განათლების მუშაკთა ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელთა მოხსენებების დასრულების შემდეგ ბჭედვითი სიტყვის მუშაკთა სექციის მოქმედების შესახებ თანამოხსენება გააკეთა სექციის წევრმა ამხ. მაღაშვილმა, რომელმაც ყრილობას გააცნო სექციის ერთი წლის საქმიანობა. ამავე სხდომაზე გაკეთებულ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

მოხსენებელი ამხ. ამირეჯიბი აღნიშნავს რა ც. გ.-ის ნაყოფიერ მუშაობას, მიუთითებს აგრეთვე შემჩნეულ დეფექტებზე, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს, კავშირის წევრთა უდროოდ და უადგილო პერეგისტრაციას და სხვას.

მეოთხე სხდომა

31 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ.

ოპოზიცია აღნიშნავდნენ პროფმუშაობის სისუსტეს ადგილებზე, კავშირის ორგანიზაციულ სისუსტეს და ჩამოუყალიბებლობას სხვა კავშირებთან შედარებით. ზოგიერთი ორატორები საჭიროდ სცნობენ პროფმუშაკების განთავისუფლებას სხვა სამუშაოებიდან და პროფმუშაობაში ძირითადად თავისუფალი ამხანაგების ჩაბმას.

სატარიფო ეკონომიურ დარგში ოპონენტები კავშირს უსაყვედურებენ კოლექტიური ხელშეკრულებათა დაუდებლობას ქალაქის აღმასკომთან და აგრეთვე სხვა დაწესებულებებთან.

დელეგატები განსაკუთრებული ყურადღებით შეჩერდენ ხელფასის საკითხზე; ზოგიერთი ოპონენტის აზრით ხელფასის ფონდის გადიდებას ჯერჯერობით არავითარი ოცულერი შედეგი არ მოუცია.

ამხ. შავერდოვისა გამოსთქვამს უკმაყოფილებას იმ შეფასებით, რომელიც ცენტ. გამგეობის საქმიანობას მისცა სარევიზიო კომისიამ, რადგან ეს შეფასება ნაკლებ შეიცავდა საღკრიტიკას წევრთა ხელახალი აღრიცხვა, რომელმაც თითქოს წევრთა შორის პანიკა გამოიწვია, იყო საქმე სიკავშირთა შორის და არა ცალკე განათლების მუშაკთა კავშირისა.

მომხსენებელი არ ეთანხმება აგრეთვე ოპონენტებს მაში, რომ ადგილებზე მუშაობის გაცხოველებაში ცენტრ. გამგეობას წილი არ მიუძღოდეს კამათის შემდეგ სხდომა იხურება.

მეხუთე სხდომა

მესამე დღის დილის სხდომაზე მოხსენებას სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობის მუშაობის შესახებ აკეთებს ამხ. **მარიამ ორახელაშვილი,**

მოხსენების შინაარს მკითხველი გაეცნობა ჩვენი გაზეთის 29 მარტის ნომერში მოთავსებულ წერილით.

შემდეგ მოხსენებას პროფესიონალური განათლების მდგომარეობის შესახებ კითხულობს ამხ. მეძმარიაშვილი. ორატორები აღნიშნავენ აგრეთვე განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის მეტად კონტაქტიურ მუშაობას სამეურნეო ორგანოებთან, რაც ორატორთა აზრით, იოდილაკა პროფმუშაობას და ვნება მოაქვს განათლების მუშაკთა პროფესიონალურ ინტერესებისათვის. ოპონენტი ამხ. პანაძიდი აღნიშნავს, რომ კავშირი სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს ეროვნულ უმცირესობათ და სხვა.

ოპონენტებს პასუხი გასცეს ამხ. ამხ. ფანცულაიამ, შავერდოვამ და კეცენავამ. ამხ. გეგენავა არ ეთანხმება ოპონენტებს, თითქოს ხელფასის ფონდის გადიდების შემდეგ შემცირებულიყოს. ხელფასის ფონდს მიემატა 3 ათასი მანეთი, მხოლოდ საკითხი იმაშია, რა წესით იქნეს ეს მიმატება განაწილებული. მომხსენებლის აზრით უმჯობესია ახალ სატარიფო ცხრილზე (1:8 შეფარდება) გადასვლა და მთლიან ძონმას ნორმების შემოღება, მაგრამ გადასვლამ არ უნდა გამოიწვიოს ცალკე ჯგუფების ხელფასის შემცირება.

მასწავლებლობასთან დამოკიდებულების შესახებ

ყველა სამაზრო აღმასკომებს

განათლების ინსტრუქტორებისათვის

ცირკულიარი

საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა გააუმჯობესოს მასწავლებელთა ქონებრივი მდგომარეობა და ამ მხრივ კიდევაც გადადგა სათანადო ნაბიჯები ცხოვრებაში გასატარებლად. მაგრამ, მასწავლებლების ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად საჭიროა შეიცვალოს დამოკიდებულება საზოგადოდ მასწავლებლობასთან და ადგილობრივ ძალაუფლებამ მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს მასწავლებლებისადმი, ამხანაგური მოპყრობით და სხვა.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ადგილობრივ ძალაუფლებას მობილიზაციის წესით მასწავლებლობისათვის მიუნდვია ესა თუ ის ტეხნიკური სამუშაოს შესრულება. ამ გვარი იძულებითი სამუშაოს დაკისრება მასწავლებლობას ართმევს საშუალებას დაუახლოვდეს საბჭოთა წესწყობილებას და იმავე დროს აშორებს მას თავის პირდაპირი მოვალეობის ასრულებას.

განათლების სახალხო კომისარიატს მიაჩნია მიზანშეუწონლად და მომავალში დაუშვებლათ მასწავლებლების იძულებით ჩაბმა რაიმე ტეხნიკურ სამუშაოში.

რაც შეეხება კულტურულ და საზოგადო-პოლიტიკურ სამუშაოს, მასწავლებლების ასეთ სამუშაოზე მოწვევას არ უნდა ქონდეს იძულებითი ხასიათი, იგი უნდა გამომდინარეობდეს მასწავლებლების თვითმოქმედებიდან და ყოველ კერძო შემთხვევაში შეფარდებული უნდა იყოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის საერთო გეგმასთან.

ზემოდ აღნიშნულს გაუწყებთ ცნობად და შესაძლებლობის ფარგლებში ცხოვრებაში გასატარებლად.

განათლების სახალხო კომისარი

დ. კანდელაკი.

საქმეთა მართველ ა. მიქაბერიძე.

მდივანი ი. ხუხაძე.

სტიქიური უბედურება რაჭაში

მეწყერმა დააზარალა რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლები ქვემო რაჭაში.—სოფელ ბუგეულში მეწყერმა გაიტაცა 48 მოსახლე.—[illegible]—10 მოსახლე.—ადამიანის მსხვერპლი არ არის.—ზარალი გამოურკვეველია

რაჭიდან და ლეჩხუმიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით ამ კუთხეების რამოდენიმე სოფელს თავს დაატყდა დიდი სტიქიური უბედურება.

თოვლის დნობის და გაზაფხულის გამუდმებული წვიმების გამო რაჭაში დაიწყო რიონის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფლების დამეწყვრა.

ხიდის-კარს ქვევით (ქვემო-რაჭა) რიონის მარცხენა ნაპირზე სოფლები გაშენებულია მთის ფერდობებზე. თოვლის დნობის და წვიმების დროს ნიადაგში ჩასული წყალი ხვდება წყალგაუვალ ნიადაგის ფენებს, რის გამოც წყალი გუბდება. დაგუბებული წყალი აიტივტივებს ნიადაგის ზედა ნაწილს, რომელიც ქვევით მდ. რიონისაკენ მიცოცავს.

რაჭას სჩვევია ამგვარი მეწყრები, მაგრამ ასეთი სტიქიური ხასიათი მეწყერს არც ერთს წელიწადს არ მიუღია.

მოსული ცნობებით დამეწყრილია სოფ. იწა, ახალსოფელი, ქედის უბანი, ჯვარისა, ღვიარა და სხვა. მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება თავს დასტყდომია ხოფელ ბუგეულს, სადაც მეწყერს გაუნადგურებია სოფლის ერთი ნაწილი—ზედა ბუგეული. მეწყერს წამოუღია 48 მოსახლე, მთელი თავისი სახლკარით და კარმიდამოთი. მრავალი ოჯახი დანგრეული და გაპარტახებულია. ზარალი ჯერჯერობით გამოურკვეველი არ არის.

ასეთივე ბედი სწვევია სოფელ უსახელოს (ლეჩხუმის მაზრაში), სადაც მეწყერს მახკრელი გამხვა—10 მოსახლე. ხალხი საჭიროებს სასწრაფო დახმარებას.

ქრონიკა

— **წიგნები სოფლებისათვის.** თბ. აღმასკომის პოლიტგანათლების განყოფილებამ 1 იანვრიდან დღემდე მაზრაში დააგზავნა სხვადასხვა ხასიათის 2089 მან. 90 კ. წიგნები.

— **ქოხ-სამკითხველოები.** ამჟამად თბ. მაზრაში არსებობს 50 ქოხ-სამკითხველო.

— **ქ. ელექტროჩის სადგურების** სამმართველომ საზღვარ-გარეთ შეუკვეთა 56.202 მანეთის მანქანების სხვადასხვა ნაწილები.

— **შრომის სახ. კომისარიატის** დადგენილებით შრომის კოლექტივებში პირველ რიგში გაიგზავნებიან შრომის ბირჟაში აღრიცხული დაზღვეული უმუშევრები.

— **შრომის ბირჟებთან არსებული** საექსპერტო კომისიების შესანახი თანხები შრ. სახ. კომ. დაადგინა გამოიდხოვოს ა | კ. შრ. სახ. საკომისარიატიდან.

— **დაზღვეულთა წამლობა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა ზაფხულში წაღვერში გაგზავნოს 80 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **ტყეების დაცვა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა შეადგინოს სახელმძღვანელო წიგნი ხანძარისაგან ტყეების დაცვის მიზნით.

— **მიწად-მოქ. სახ. კომისარიატს** გასულ წელს მაზრებში მოწყობილი ჰქონდა 60 გამქირავებლი სადგური 1786 სამეურნეო იარაღ-მანქანით.

— **სასოფლო-სამეურნეო კომუნა** ამჟამად მთელ საქართველოში არსებობს 50.

— **მავნებელთან ბრძოლის ბიურო** ამ დღეებში თბილისის და გორის მაზრებში აწყობს ბრძოლას ბაღის მავნებლებთან.

— **წარმოკავშირს წელს თბილისის ბაზარზე** გასასაღებლათ მზად აქვს 135,000 ფუთი ხორბალი.

— **ღვინის დამზადება.** წარმოკავშირი იმერეთში დაამზადებს 40-ათას ვედრო ღვინოს.

— **წარმოკავშირი** წელს გასაღებლათ დაამზადებს 5000 ფ. ერბოს და კარაქს.

— **ქ. დ. შტაბთან** გაიხსნა ამბულატორია სამხედრო მუშა-მოსამსახურეთათვის.

— **ა | კ. ავიაციის საზოგადოება** ერთი წლის განმავლობაში მოუხდენია 308 გადაფრენა და გადაუყვანია 997 მგზავრი.

— **დახმარება უმუშევრებს.** დღეს მარტის თვის დახმარება მიეცემა იმ უმუშევრებს, რომლებსაც აქვთ დასახლევი წიგნაკი 1301—№-დან 1700-მდე.

— **სოც. უზრუნველყოფის** კომისარიატმა შესწყვიტა ლიტერების და ფულადი დახმარების გაცემა სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ინვალიდებისათვის.

— **საბავშვო სახლების** სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ ახალო ხანში თბ. განათლების განყოფილება იწვევს საბავშვო სახლების და ინტერნატების გამგეთა კონფერენციას.

— **თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტის** გამგეს ამხ. სეფერთელაძეს თბ. განათ. განყოფილებამ დაავალა შეადგინოს ინსტიტუტის მუშაობის ახალი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა ინსტიტუტის მოქმედების გაფართოების მიზნით.

— **გონებრივი მომუშავენი** ა | კ. შრ. სახ. კომისარიატისა და ა | კ. მ.—გ. ინსპექციის დადგენილებით რევოლიუციონურ უქმეების და კვირეების წინ მუშაობენ დღის 3 საათამდე.

— **ახალი აფთიაქი.** ორთაჭალაში დაზღვევის კასამ დაზღვეულ მეტყავეთათვის არსებული აფთიაქი გადააკეთა, საიდანაც ყველას შეეძლია მიიღოს წამლეულობა.

— **საექიმო დახმარება გლეხებს** ჯანსახკომის დადგენილებით თბ. გლეხთა ცენტრალურ სახლში ჩამოსულ გლეხებს სხვადასხვა საექიმო დახმარებისათვის შეუძლიათ უსასყიდლოთ მიმართონ ჯანსახკომის ცენტრალურ-საჩვენებელ საექიმო დაწესებულებებს.

— **რენტგენის სხივების კაბინეტი** ჯანსახკომმა მიმართა თბ. აღმასკომს რათა გაანთავისუფლოს კერძო მდგმურებისაგან ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი, მასში რენტგენის სხივების კაბინეტის მოწყობის მიზნით.

— **ახალი საექიმო პუნქტები.** გორის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა ჯანსახკომის წინაშე, რათა გორის მაზრაში გახსნილი იქნას 17 სასოფლო საექიმო პუნქტი.

ხელოვნება

ა. მოზჟუხინის გასტროლები

„ბორის გოდუნოვი“.

ა. მოზჟუხინის პირველი გასტროლისათვის განზრახული იქნა მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“. მთავარ პარტიაში გამოვიდა გასტროლიორი.

ა. მოზჟუხინი თბილისის ს ოპერო თეატრის სცენაზე მღეროდა რამოდენიმე წლის წინათ და უკვე მაშინვე თავისი საოპერო კარიერის დასაწყისშივე ის ყურადღებას იპყრობდა თავისი ხმით და მოხდენილი სიმღერით. მან თბილისში შექმნა ბორისის პარტია და მხოლოდ შიკი მონაწილეობის შემდეგ მუსორგსკის ოპერაში „ბორის გოდუნოვმა“ თბილისის მუსიკალურ ქრონიკაში მოიპოვა, ასე ვსთქვათ, მოქალაქეობის უფლება.

მოზჟუხინი დიდი არტისტიული ძალაა. მის შესრულებაში პირველ პლანზე სდგას სამაგალითო ვოკალური გადმოცემა და პარტიის ზედმიწევნით მხატვრულათ დამუშავება.

პირველი გამოსვლიდანვე მსახიობმა იპყრო აუდიტორიის ყურადღება. მხოლოდ გაუგებარია, რითი იყო გამოწვეული პირველი შესვლისას „სწუხს ჩემი სული“-ს მკრთალი შესრულება მოზჟუხინის მიერ; ეს, ალბათ, მღელვარებით აიხსნება. აქ საჭირო მეტი განწყობილება და სიმღერის ნახევარი ხმით.

უკვე მეორე სურათიდან მოზჟუხინი შევიდა როლში და მან საბოლოოთ დაიპყრო აუდიტორიის ყურადღება. სიმღერაში და თამაშში ბევრია ნიუანსები და სილამაზე. სცენიური მხრით ხოროს ძიავს რეალური სცენა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე; უკანასკნელი სცენა—შიშთან გამოთხოვება და სიკვდილი ისეთი სიძლიერით იყო ჩატარებული, რომ იგი ძლიერი გგრძნობდა მ ყურებლებს.

რა მოვიგონებული სიმღერა, როგორი მრავალფეროვანი მიმიკა და რამდენი ტემპერამენტია მსახიობის თამაშში, თუ სიმღერის დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ერთსულოვანი ოვაციები გაუმართა გასტროლიორს.

ვოლნენეცკაია გამოვიდა ორ პარტიაში: სმელორავა შინკარკის და მარინა მნიშვნ. პირველი პარტიის შესრულება სუსტი იყო, მეორეს აკლდა ტემპერამენტი და კანტილენა.

კარგი იყო კულაგინი ცრუ-დიმიტრის როლში, ლამაზია გრაჩი და მიმიკა. სცენაში მარინასთან სასურველია მეტი ტემპერამენტი და მეტი კანტილენა სიმღერაში.

სუსტია იგონინი ვასილ შუისკის პარტიაში. კარგებია დემიანენკო და კუპატოვი მხოლოდ ორივე ისინი აზარებენ.

ლამაზათ მღერის პიმენის პარტიას ბლაგოვრაზოვი.

სტოლერმანს მხატვრულად მიჰყავს საორკესტრო პარტია.

პ. ბ.

— **„ფაუსტი“.** დღეს ოპერის თეატრში გაიმართება მოზჟუხინის მეორე გასტროლი. წარმოდგენილი იქნება: „ფაუსტი“.

— **„ელიტა მიწაზე“.** ახალ თეატრში ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება „ელიტა მიწაზე“ (სატირა).

— **ცირკში.** ფრანგული ჭიდაობა ცნობილ მოჭიდავეთა მონაწილეობით. ძმ. ტანტების გამოსვლა.

— **რუსთაველის თეატრში.** დღეს წარმოდგენა თურქულ ენაზე.

დღეს კინოებში

— **არტისტო**—„ქარის გმირი“.

— **მინიონ**—„მეცლის მუშა“.

— **თვითმფრინავი**—„ცხოვრების საქანელა“.

— **აპოლო**—„წარსულის საშინელება“.

— **პალასი**—„სობიეძის ცოლი“.

— **აისი**—„ვენეციის ღამეები“.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 31 მარტს ღამის 4 საათზე ახვერდოვის მამულში ივანე ლაფერაშვილის საქათმეში მისულა ბოროტ-მოქმედი ქურდობის მიზნით, რომელიც შეუმჩნევია ლაფერაშვილს და მივარდნილა მასთან. ბოროტ-მოქმედმა უკანასკნელი დასჭრა ბებუთის დანით მარცხენა მხარში და მიიმალა. დაჭრილი მოთავსებული იქნა რკინის გზის საავადმყოფოში.

— **ქურდის შეპყრობა.** 1 აპრილს დღის 4 საათზე ხარათიანის სურათის საწყობში, ჭავჭავაძის ქ. № 3, შეპყრობილი იქნა ქურდი ილდემდ შულცი, რომელსაც გაულია საწყობი მორგებულ გასაღების საშუალებით, მაგრამ ვერ მოუსწრია გაქურდვა, ვინაიდან საწყობის პატრონმა მოუსწრო და დააპატიმრა.

— **ქურდობა.** 1 აპრილს დღის 4 საათზე კომოს ქ. № 82 გაქურდული იქნა ვლადიმერ კეშიშოვის ბინა, საიდგანაც წაღებულია სახლის ნივთები 250 მან.

— 1 აპრილს ელისაბედ კაკაბაძისამ განაცხადა, რომ მისი ბინიდან მოპარული იქნა სხვადასხვა ნივთები.

— 31 მარტს ღამით თამარის ქ. № 18 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა მარიამ საფაროვის ბინა.

მუშათა ცხოვრება

შრომით მივაღწევთ ბედნიერებას!..

გუგუნებს ქურა... ჩარხი ტრიალებს...
ბორბლების ბრუნვას ხელს უწყობს ღვედი!
აქ იქედება ბედნიერება
და მომავალი მშრომელთა ბედი...

სწრაფლსა მანქანებს თავს დასტრიალებს
აქ გამურული მუშა, ერთგული;
წამსაც არ აცდენს დაკოჟრილ ხელებს...
შრომის შვილია, შესტკივა გული.

აი, აქ არის ბედნიერება...
ამაზედ ლამაზს რას ნახავს თვალი;
ქურას უმერავს ა[illegible] საბერველი;
ახურებს რკინას ცეცხლისა ალი.

ამ ცხელსა რკინას ურტყამს ჩაქუჩი;
აქ იჭედება თოხი და ცელი;
ამ წმინდა შრომის ბედნიერებით
სცხოვრობს ქალაქი, ხარობს სოფელი.

ვაი მის შვილს, ვინც ასეთ შრომას
არ ეკარება, გაურბის განზედ;
არ ასცილდება უბედურება
ბედი მიიყვანს დაღუპვის გზაზედ.

დავკრათ ჩაქუჩი, მშრომელთა შვილნო!
ჩვენ გამოვსჭედოთ ხარი, დიდ-ყურა,
სანამ ცხელია, რკინა მოვღუნოთ,
არ გავაცდინოთ წამითაც ყურა!..

გლეხობა ითხოვს ჩვენგან იარაღს,
დაამუშავოს ადვილათ ყანა,
ხომ იცი, ძმაო, მუშა და გლეხის
შრომითა ცოცხლობს მთელი ქვეყანა.

მუშა სალუქვაძე.

მუშებისათვის სახლები ასე არ უნდა შენდებოდეს

(„ცენტრო-სტროი"-ს საყურადღებოდ).

ნაძალადევში, „პლეხანოვი"-ს სახელობის მუშათა კლუბის ახლოს, შენდება 5 თვალი კარგი-აგურის სახლი. თვითეული, მის ახლოს ჩამვლელი დაინტერესდება და იკითხავს: „ვისია ეს სახლი"?! გეგონება კერძო პირი აშენებს, გიკვირს და ამბობ: ვისა აქვს დღეს ამის წილი; ასეთი კოხტა სახლი დაიდგას, ბურჟუაზიული გემოვნებაზე???...

სახლი გაშენებულია კლუბთან ჯვარედინ (ქუჩაზე-კუთხეში), მაღალ სარდაფზე, ერთ სართულიანი, შიგნითა მხარეზე გრძელი ქანდარით და „პოდიეზდებით", რამოდენიმე ასეულ კვადრატულ საჟ. მქონე ეზოთი.

— ვინ იშენებს ასეთ კოხტა სახლს?! უნებლიეთ ჰკითხავ იქვე მდგომ მოქალაქეს, (ხშირად მუშები იყრიან აქ თავს).

— მოქ. გიორგი იასაშვილი.— გეძლევა პასუხი.

— ვინ არის, რა მოხელეა?..

— მუშაა, სავაგონო ცეხის..

— ნეტავ, რაფერ დააგროვა ამ სახლის ასაშენებელი ფული?!

— თვითონ კი არ დააგროვა... „ცენტრო-სტროი" უშენებს, მაგრამ ამავე დროს, თვითონაც იშენებს...

— რაფერ... ყველა მუშებს უშენებენ ასე, კერძოთ, სახლებს?!.

— რა ვიცი, მეგობარო! თვითონ „ცენტრო-სტროი"-ში მსახურობს. მუშებიდან არის გაგზავნილი; რკინისგზის მუშებისათვის სამოსახლო მიწის დამრიგებელ კომისიაში. თვითონ აირჩია ეს ადგილი და დაიწყო ზედ შენობა... სხვისთვის ჯერ არავისთვის აუშენებიათ...

— კარგი მუშების წარმომადგენელი ყოფილა!!!

ამ სახლთან სამი-ოთხჯერ მიხდება გავლა კვირაში და თითქოს ყოველთვის წავაწყდები მობაასე მუშებს; რომელთა მსჯელობის საკითხად ეს სახლი გადაქცეულა. დიდ გაღიზიანებას და უკმაყოფილებას იწვევს მათში იასაშვილის საქციელი, რაიც თავისებური ბუნებრივობით სავსებით გასაგები და სამართლიანიცაა. აქ, ცოტა ბოროტმოქმედებაც კი გამოსჭვივის.

მართლაც ყოვლად შეუძლებელია კერძოდ ცალ-ცალკე იქნეს აგებული სახლები თვითეულის გემოვნებაზე მაშინ, როდესაც საამისო სახსარი არა აქვს სახელმწიფოს; მით უმეტეს, რომ სხვა მუშები სრულიად უბინაოთ იმყოფებიან, ან მეტი შევიწროებული არიან.

მუშკორი იმედი.

უკანონობა, თუ გაუგებრობა.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ.)

„უქს-ის" მიერ 16 მარტს იქნა ჩასახლებული გუნი[illegible]ვის ქუჩაზე სახლი № 8-ში, სანოტარიო განყოფილების თანამშრომელი ა. კაჭარავა და სტუდენტი რ. კაჭარავა.

28 მარტს კი პროკურატურას მიერ იქნენ უკან გამოსახლებულნი ადმინისტრაციული წესით, როგორც „უკანონოდ" ჩასახლებულნი.

ახალ ოთახში ჩასახლების შემდეგ მათი ძველი ნესტიანი ოთახიც ბარიატინსკის ქუჩაზე № 30-ში სხვა ჩასახლდა. გამოსახლებულნი კი ფოთოლ ქუჩებში ჩასახლდნენ, იმედი აქვთ, რომ ეს საკითხი სამართლიანათ გადაწყდება და „უქს"-ის ბრძანებას ძალა ექნება.

ჩაიდინა ასეთი უკანონობა „უქს-მა"? საბჭოთა მოსამსახურე.

ჰოლ დარჩნენ და ღამეს ათიებენ ნაცნობებთან და იძულებულნი არიან დასტოვონ თბილისი.

საჭიროა ვიცოდეთ, თუ რატომ ჩაიდინა ასეთი უკანონობა „უქს-მა"?

საბჭოთა მოსამსახურე.

განა ესეც ექიმია?!

(ჯანსახკომის საყურადღებოდ).

ოზურგეთის მაზრის განათლების განყოფილებას ჰყავს დანიშნული მოწაფეთა ექიმი ავთანდილ ინგოროყვა, რომელიც ღებულობს შესაფერ ჯამაგირს და ევალება ყურადღება მიაქციოს ოზ. 9 წლიანი და I-ლი, II-რე შრომის სკოლების მოწაფეთა ჯანმრთელობას. მაგრამ ის მოვალეობას არ ასრულებს პირნათლად.

ექიმი ა. ინგოროყვა იმ მოწაფეებს, რომლებიც მიდიან მასთან გასასინჯავად შემდეგი სიტყვებით ისტუმრებს: მე დღეს გავსინჯე რამოდენიმე კაცი და ეხლა დაღლილი ვარ და არ მცალიანო. ა | წ. 24 თებერვალს გახდა ავად მე-VII კლასის მოწაფე აკაკი ფოცხიშვილი, მიდიან ა. ინგოროყვასთან ა. ფოცხიშვილის ამხანაგები, რომლებიც ებნებიან მას, რომ მოწაფე არის უკანასკნელ მდგომარეობაში და უნდა წამობრძანდეთო, მაგრამ ექიმმა არ მოისურვა ავადმყოფის გასინჯვა და დაიწყო რეცეპტის წერა ავადმყოფის უნახავად და ავადმყოფი კი არ ინახულა.

ოზურგეთის განათლების განყოფილებავ, მიაქციე ყურადღება ასეთ ზეპირად წამლის გამომწერ ექიმს, რომელიც არ იწუხებს თავს მოწაფის ჯანმრთელობისათვის და სათანადო ადგილი მიუჩინე მას.

კომკავშირელი.

რკინის გზის წარმოებაში

სადგურ გორის საწარმოო კომისიამ მოაწყო საწარმოო თათბირი, რომელმაც მიმართა შპალ-მელენთ ქარხნის ადმინისტრაციას დაუყოვნებლივ მიაწოდოს მუშებს საწარმოო იარაღები. იმავე თათბირმა მიმართა ადმინისტრაციას მოაწყოს შპალთა სათბობი ღუმელები, შეაკეთოს წყალსადენის მანქანები, გააადვილოს მასალების დაგროვების დროს შემოიღოს მუშათა სამკვლიანი სისტემა. მანვე მიმართა შპალ-მელენთ ქარხნის უფროსს გააკეთოს მოხსენებები წარმოების მდგომარეობის შესახებ საერთო კრებებზე და თვალყური ადევნოს მასალების ეკონომიურად ხარჯვას.

ამასთანავე თათბირმა დაადგინა შემოიფარგლოს ქარხნის შიდამოები და ქარხანაში დაიდგას დიდძალიანი მანქანები. მანვე მიმართა სალანდაგო სამსახურს არ დააგვიანოს მასალათა მიზიდვა.

— იმავე თათბირმა მიმართა სადგურის უფროსს თავის დროზე აწარმოოს დატვირთვა-გადმოტვირთვა.

— უბილეთობა. თბილისის უბნის მოძრაობის დარგის საწარმოო კომისიამ მიმართა ადმინისტრაციას აკრძალოს და იბრძოლოს უბილეთობის წინააღმდეგ.

— აღნიშნულმა თათბირმა მიმართა ადმინისტრაციას, რათა ბოროტმოქმედებაში შემჩნეული და დასჯილი პირები მეორეთ აღარ იყვნენ დაშვებულნი სამუშაოზე.

ის, ადმინისტრაციისაგან მოითხოვს გაუმჯობესოს მაშუქებისა და ნიშან სვეტების მდგომარეობა და გადაყვან გადმოყვანა სწარმოებდეს კავშირთან შეთანხმებით.

ინფ. ა—ძე.

მუშათა წერილები მიზნს აღწევენ

წყალი უკვე მივეცით

„კომუნისტი"-ს მე-24 ნომერში სათაურით: „მოგვეცით წყალი" მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ როგორც გამოირკვა მნაცაკანოვის ალმ. მდებარეობა № 26 სახლში, მაკარონის ქარხანაში, წყალი ამჟამად არის; იგი დროებით იყო შეწყვეტილი, ყინვისაგან მილების დაზიანების გამო.

სწარმოებს კვლევა-ძიება

„კომუნისტის"-ს მე-27 ნომერში სათაურით: „დაუდევრობის ბრძოლა" მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ ახვედროვის მამულში წყალსადენის მილების დახეთქის გამო განსაკუთრებული კომისია შესდგა, იგი აწარმოებს სათანადო კვლევა-ძიებას და მისი დასკვნის შემდეგ დამნაშავეს მოეთხოვება პასუხი.

ზედმეტ საათებში ს. მაოგდნენ თავიანთ სურვილით

„კომუნისტი"-ს მე-24 ნომერში სათაურით: „ეს უკანონობაა" მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ მართალია, სადამთავრობით მუშაობას აწარმოებდენ რეგისტრატორები, მაგრამ ეს იყო მათი სურვილი და არა ჩვენი დავალებით. პირიქით ჩვენ მოვითხოვდით, რომ მათ არ ემუშავათ.

საინფორმაციო მაგიდის გამგე ვარდოსანიძე.

მუშათა ქრონიკა

მუშა-მწერალთა გაერთიანების გამგეობის სხდომა მოწვეულია შაბათს, საღამოს 5 საათზე გაზ. „პროლეტარის" რედაქციაში („კომუნისტის" რედაქციის შენობაში), უნდა დაესწრონ. 1) შ. ნავთლუღელი, 2) გ. შინაკეხელი, 3) ხვერელაშვილი, 4) შ. ტალიკაძე, 5) ნ. ზემოეთელი, 6) ვ. ქოქოძე, 7) ი. სულაძე და მუშკორს პოლემოფის უჯრედის ერთი წარმომადგენელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 15

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის ამნისტიის განხორციელების წესის შესახებ 1925 წ. მარტის 16-ს თარიღითა და მე-13 №-რით გამოცემული დადგენილების განმარტებისათვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის ამნისტიის განხორციელების წესის შესახებ 1925 წლ. მარტის 16-ს თარიღითა და მე-13 №-რით გამოცემული დადგენილების დასამატებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიადგენს: განმარტებულ იქნეს, რომ ზემოდასახელებულ დადგენილების მე-4 და 5 პ. პ. აღნიშნული შეღავათები შეეფარდება მუშათა და გლეხთა შემდეგ კატეგორიებს:

1. ყველა გლეხს, რომელიც მიწას ამუშავებს.

2. ყველა მუშას, რომელიც ფიზიკურ შრომას ეწევა ფაბრიკაში, ქარხანაში, აგრეთვე საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში.

3. მუშათა ან გლეხთა ჩამომავლობის ყველა მშრომელს, რომელიც სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში მსახურებს, თუკეთუ ეს სამსახური მისი არსებობის ერთად-ერთი წყაროა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარ. მაგ. ლ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს თ ო დ რ ი ა.

1925 წლ. მარტის 31

თბილისი—სასახლე.

საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანება № 35

ქ. თბილისი, 1925 წ. „5" მარტი.

§ 1

ცხადდება ყველა მოქალაქეთა და აგრეთვე საზოგადოებრივ და პროფესიონალურ დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომელთაც აქვთ იარაღი თავისი თანამშრომლებისათვის მისაწოდებლად სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს (მოლარეები, „არტელჩიკები", კონტროლიორები და აგენტები, რომელთაც მიაქვთ ძვირფასი ნივთები და სხვა), რომ ა. | წ. 1 მარტამდი გაცემული ყველა მოწმობები იარაღის ტარებისა და შენახვის შესახებ, საქართველოს საგანგებო კომისიის და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ გაუქმებულად არის გამოცხადებული.

§ 2

ყველა უპარტიო მოქალაქეები გამოუკლებლად და აგრეთვე პარაგრ. 1-ში ჩამოთვლილი დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ ტყვის მტყორცნელი იარაღი, ვალდებულნი არიან იქონიონ საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოს მოწმობა მისი ტარებისა და შენახვის შესახებ.

§ 3

მოწმობებს ტყვის მტყორცნელი იარაღის და მისი ვაზნების შეძენის ტარებისა და შენახვის შესახებ აძლევენ: თბილისში და მის მაზრაში—საქართველოს საგანგებო კომისია, მაზრებში—სათანადო პოლიტბიუროები, საინფორმაციო პუნქტები და საქართველოს საგანგებო კომისიის სამაზრო რწმუნებული.

§ 4

ამ ბრძანების პარაგრ. 3-ში ჩამოთვლილ ორგანოებში შეტანილ განცხადებებს დაკრული უნდა ჰქონდეს საღერბო და საკანცელარიო მარკები: კერძო მოქალაქეებმა უნდა დააკრან 2 მანეთის მარკა, დაწესებულებებმა—25 კ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: განცხადებებზე დასაკრავი საღერბო და საკანცელარიო მარკების მიღება შეიძლება ზემოჩამოთვლილ ორგანოებში.

§ 5

იარაღის რეგისტრაცია და ნებართვის გაცემა მისი ტარებისა და შენახვის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე იწყება ამ დადგენილების გამოცემის მომენტიდან და თავდება 1925 წლის 1 მაისს.

§ 6

პარაგრ. 1-ში ჩამოთვლილი მოქალაქეები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც რეგისტრაციაში არ გაატარებენ მით განკარგულებაში მყოფ ტყვის მტყორცნელ იარაღს, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში კანონის მთელი სიმკაცრით იარაღის გადამალვისათვის.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი.

საქართველოს საგანგებო კომისიის საერთო-ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი ს ტ ა ნ ს კ ი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

მუშკორების საყურადღებოთ

— შაბათს, 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე „მუშათა ბეჭვდითი სიტყვის" კლუბში შესდგება მუშკორთა წრის კრება გაზეთზე მუშაობის შესასწავლათ.

კრებაზე მოწვეული არიან ამხ. ვოლჩანეცკი („ა-კ. მუშიდან"), შახოვი და ასილოვი.

დასწრება სავალდებულოა წრეში ჩაწერილ ამხანაგებისათვის.

თბ. მუშკორთა ბიურო.

— ქალაქის რაიკომის აღმრიცხველ-სტატისტ. ქვე-განყოფილება აუწყებს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ გამოცხადდენ ერთიან პარტბილეთებისა და საკანდიდატო ბარათების მისაღებათ:

ფედოროვა ელენე, ნუცუბიძე პეტრე, ობაროვიჩი კოსტა, სემიონოვი ნიკოლოზ, ელენინ გიორგი, ივანოვი ვლადიმირ, სიხოშვილი იაკობ, ივანოვი ალექსანდრ, ცატუროვი არშაკ, ბრატიჩევი ნიკოლოზ, ვიდულოვი ანტონ, მორდებაძე დიმიტრი, სორინი გრიგოლ, ტრეკოვი გრიგოლ, ბადამშიი კარიმ, რიზხანოვი სეიმონ, ბაბავვი მამედ, ტაბიძე, იასონ, გმოი-ნი ივანე, კამკამიძე ნიკოლოზ, ცოტაძე კონსტანტინ, კლეჟრმანი ერასტი.

— საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. გრიგოლ ქოხოსოვ-ძე მაღრაძეს გამოცხადდეს ცენტრ. საკ. კომისიაში, (რუსთაველის პრ. № 24 მე-3 სართული) ამხ. ოკოოპირიძესთან 4 აპრილს დილის 11 საათამდის.

— არ სრაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს შაბათს, 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე, გამოცხადდენ გ.ნათ. მუშაკთა მეთერთმეტე ადგილკომის ბინაზე (დიდი მთავრის ქ. ქალთა მეოთე გიმნაზია) არსიაონის განათლების მუშაკთა უჯრედის საორგანიზაციო კრებაზე.

ფსუტური, ქერიძე ნოე, უსარი ბერტა, დიასამიძე მიხეილ, აბაზაძე მიხ., პიატენკო, მარტელლი ელენა, შატბეროვა სოფიო, პაცენკო ნეონილა, რამედიკ რახილ, კარამურზა სერაფიმა, ჯულელი, კოლუმბეკოვა.

საორგ. განყ. გამგე წითლაძე.

— სახ. უნივერსიტეტის კომუჯრედის ბიურო ამით აცხადებს უჯრედის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა | წ. 3 აპრილს ერთიან პარტიულ დღეს უჯრედის კრება შესდგება ჩვეულებრივათ.

ამავე დღეს ნაშუადღევის 3 საათზედ შესდგება უჯრედის ბიუროს არაჩვეულებრივი სხდომა.

კომუჯრედის ბიურო.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამსაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ლოსაბერიძე ნიკოლოზს, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ამხ. ვათიაშვილთან მოსალაპარაკებლათ.

— შაბათს, 4 აპრილს, დილის 2 საათზე, თ. კ. საორგ. განყოფილებაში მოწვეულია ამ კომისიის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც უნდა გადასინჯოს საწარმოვო და უმაღ. სასწავლებლის უჯრედები.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ფანცულია, ასრიბეკოვი რონზენი, ფირალოვი, კომახიძე, ფესიუკი, სეგიროვი, ბახუაძე.

საორგ. განყოფილება.

— ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი მობილიზაციის წესით იწვევს ქვემო-ჩამოთვლილ ამხანაგებს „მასწავლებლობა და კომკავშირის"-ს კამპანიის ჩასატარებლათ განთლების მუშაკთა კავშირის რაიონულ ადგილკომებში და ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციაში.

ამხანაგები მიმაგრებული არიან შემდეგ რაიონებზე. გამოსვლის დროისა და ადგილის შესახებ უნდა შეუთანხმდენ სათანადო რაიონების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებს.

პირველი რაიონი: გაბარაშვილი, კეკელია, მაჭავარიანი.

მეორე რაიონი: ცვახავა, საგინაძე, ჩაუსკი (ა-კ. კომ. უნივერსიტეტი), პიტერსკი, აბაზაძე, კუჩეროვი.

მესამე რაიონი: ამატუნი, ძიგრაშვილი, ადამიანი გ., რასულ-ზადე (ა-კ. კომ. უნივერსიტეტი).

მეოთხე რაიონი: გოგეშვილი, დარახველიძე, გეორკოვი, მდივანი ა., ტატულოვი, ბახტაძე ს., არაქელიანი, ჯავახიძე.

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მდივანი მეთონიძე.

— ს. კ. პ. ცენტრ. საკ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. **ევგენი კოვალეიშვილს, მინა გრიგორიევს, მელენტი ანდღულაძეს, იპოლიტე ვაჟაპკორიას და ნიკოლოზ კრივიჩა გამოცხადდენ ს. ცენტრ. საკ.** კომისიაში (რუსთაველის პრ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 9) ამხ. იაშვილთან დილის 10-დან 12 საათამდის.

გარდაიცვალა დამწუხრებულნი: მეუღლე რაქელ მაკო[illegible] და დედამთილი სალომე ივანეს ასული კოლუაშვილები, დედა მარიამ ოქრო-პირის ასული კახელისა, შვილები [illegible] სიმსიძე ოჯახობით, დები: ნატალია გერესიმეს ასული ცერცვაძისა და პასიკო გერესიმეს ასული ბუ[illegible] და ლასო გერესიმეს ძენი კახელები თავიანთ ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამ წ. 31 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

სონა (ქრისტინე) გერესიმე კახელის ასული
კოლუაშვილისა

რომლის უკანასკნელ გამოსათხოვარ დღეთ არის დანიშნული ამ წ. 4 აპრილი, დღით შაბათს საღამოს 5 საათზე, ქ. ჭიათურაში საკუთარ სახლებში, საიდანაც იქნება წასვენებული. ქ. ზესტაფონში და მოხდება დაკრძალვა იქვე ამ წ. 5 აპრილს დღით კვირას.

831. 1—1

რუსთაველის თეატრი | შაბათს, 4 აპრილს
სეზონის დახურვა
თეატრის მუშების იუბილე
„მზის დაბნელება საქართველოში"
დადგმა კ. მარჯანიშვილის
1054 2—1

სახელმწიფო ოპერა
პარასკევს, 3 აპრილს
გასტროლი ცნობილი ბანის მოჟუხინის
I „ფაუსტი" II
ვალპურგიევის ღამე
ნ. 1053. 2—1

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-3 ყრილობის თბილისში ჩამოსავალ დელეგატთა საყურადღებოთ.
შინაგან საქმეთა
სახალხო კომისარი
სთხოვს საქართველოს საბჭოთა მე-3 ყრილობაზე ჩამომავალ
ამხ. დელეგატებს
გამოცხადდენ თბილისის სადგურის სასტუმრო დარბაზში საჭირო ცნობების მისაღებათ.
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.
ნის. 1051. 4—1

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი:
„ჩვენი აღმშენებლობა"
ორგანო თბილისის მ | გ. და წ. ა. დეპუტატების საბჭოსი.
ჟურნალი ამა წლის აპრილიდან ყოველ თვე გამოვა
ცალკე ნომრის ფასი—80 კაპ.
ხელის მოწერის დროს თუ ჟურნალი სამი თვით მაინც იქნება დაქვეთილი, ეღირება 65—კაპ.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია: ა. წერეთლის ქუჩა (ყოფ. განოვისა) № 4, ოთახი № 31.
2—1 ნის. 1055

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე ინ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—14

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—1

საფლავების აღრიცხვა
ვერის, კუკიის და პეტრე-პავლის სასაფლაოებზე სწარმოებს პირველ მაისამდის.
ცნობების მიღება შეიძლება სასაფლაოებზე არსებულ კანტორაში.
833. 4—1

დაკარგვ პირადობის მოწმობა ერთი ჩემი და მეორე ჩემი ცოლის: ასათიან ალხაცევის ბარათი მოცემული ქ. თბილისში მე-12 უბანში ემელიან თაყაიშვილის და ქეთევან დოლიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 826 1—1

დაკარგვ ს. ა. ლ. კ. კ. ცეკადან გაცემული მანდატი № 4989, ს. პ. კ. ს. განათლების მუშაკთა კავშირის წევრობის წიგნაკი № 31580 და სხვა საჭირო ქაღალდები ვლასა ჯიბლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 828 1—1

დაკარგვ სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, ბაქოს სახელმწიფო ნავთიანი მიწების საკონტროლო დაწესებულების ნასახური მოწმობა. სიღნაღში მიღებული პირადობის მოწმობა და მეტრიკული აღნიშნული ანდრია დავითის ძე ძამაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 834 1—1

დაკარგვ აღრიცხვის ბარათი ახალ მოცემული და ხოხატაურის აღრიცხვის უფროსისაგ ნ. გიორგი ექვთიმეს ძე შენგელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 829 1—1

დაკარგვ მოწმობა გაცემული ბახვის აღმასკომის მიერ № 44 სოლომონ მათეს ძე თენეშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 832 1—1

დაკარგვ დამხმარე კასის მოწმობა № 623 დარია გძელიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 830 1—1

დაკარგვ პირადობის მოწმობა, მოცემული დვალიშვილის თემის აღმასკომისაგან № 20 და გლეხკომის საწევრო მოწმობა დიმიტრი იესეს ძე ხელაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 843 1—1

დაკარგვ პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის მილიციის სამმართველოდან ანტონინა ალექსის ასული კრასავინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 842 1—1

დაკარგვ პირადობის მოწმობა № 127 აღებული რაჭის მაზრაში სოფლ ზერაბის ძე გეგიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 835 1—1

დაკარგვ სამხედრო აღრიცხვის ბარათი მოცემული თბილისის მაზრის სამხ. კომისარიატიდან 1923 წელში შაქრო ალექსანდრეს ძე ფიროზიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 837 1—1

დაკარგვ პროფკავშირის წიგნაკი № 113 გაცემული გორის საამშენებლო კავშირიდან. ზაქარია რჩეულიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 838 1—1

დაკარგვ სანადირო თოფის და ნადირობის მოწმობა გაცემული შორაპნის მაზრის მონადირეთა კავშირიდან და სამხედრო აღრიცხვის ქაღალდი ფორმა № 4 შორაპნის სამ. მაზრის გაცემული იოსებ (სოსიკო) გრიგოლის ძე დოკანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 827 1—1

დაკარგვ დაზღვევის წიგნაკი პეტრე მამარიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 839 1—1

დაკარგვ პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო ქაღალდი ისიდორე დათუაშვილის სახელზე მასთან ერთად დავკარგე ჩემი ცოლის მარიამ დათუაშვილის პირადობის მოწმობაც. ჩაითვალოს გაუქმებულად. 810 1—1

დაკარგვ სახელმწიფო უნივერსიტეტის მატრიკული № 641 გრიგოლ ბესარიონის ძე ლოლუაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 827 1—1

წერილები პროვინციიდან

დ.-სავლეთ საქართველოს პროკურატურის საყურადღებოთ

(წერილი ხარაგოულიდან)

1924 წელში დ. ხარაგოულში გასტეხეს კოოპერატივი, საიდანაც წაიღეს ფართლეულის საგრძნობი ნაწილი. ბოროტგამზრახველთა აღმოსაჩენათ დაუყოვნებლივ იქნა მიღებული შესაფერისი ზომები ადგილობრივ დაინტერესებულ ამხანაგებისასაგან, მაგრამ, სულ ჩქარა, საქმე გადავიდა პროკურატურის ხელში და კვლევა-ძიება დღემდის არ დასრულებულა. საქმის ასეთი გაჭიანურება ძალზე აღელვებს ჩვენს გლეხობას. უპარტიო გლეხთა ყრილობაზე 1924 წელს ეს საკითხი დელეგატებმა მთელი თავისი სიმწვავით წამოაყენეს და გადაჭრით მოითხოვდენ გამოძიების დაჩქარებას. მიუხედავათ ამისა, საქმე დღესაც არ დასრულებულა, რაც მიზეზი შეიქნა მიმდინარე 1925 წლის ასეთსავე უპარტიო გლეხთა ყრილობაზე უკმაყოფილების ხელახლა გამომჟღავნებისა. ჩვენმა სოფლის გლეხობამ თავისი წარმომადგენლები ყრილობაზე კვლავ ისეთივე ნაკაზით გამოგზავნა, როგორც შარშან და სამართლიანათ დასძენდენ, რომ ამ შემთხვევაში მათ შარშანდელ დადგენილებას არ მიქცევია ჯეროვანი ყურადღება. მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა საქმე კვლავ მიჩუმებულია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება. ვინაიდან ბოროტი ენები ხმებსავრცელებენ, რომ ვისაც ხელსაწყო იარაღები (რომელიც იქ დარჩათ ბოროტგანზრახველთ) იყო ბოროტგანზრახვაშიდაც მათ წილი უდევსო ან კიდევ: კოოპერატივში გამოჭრილი პატარა სარკმელი, საიდანაც გამოზიდულ იქნა ფართალი, ეხლა (თითქოს სინათლისათვის) უფრო ზედმეტი გამოუჭრიათ—გაუფართოებიათ და ეს კი გამგეობას არ უნდა ექნა მანამდის, სანამ საქმის გარშემო გამოძიება არ დასრულებოდაო და სხვ. ასეთია მდგომარეობა.

გლეხობა მოითხოვს საქმის სასწრაფო გამოძიებას, უცდის ამ გამოძიების შედეგებს.

ობსერვატორ.

ჩვენი შეფი ხომ არ გინახავთ?

ორი წელიწადი მეტია, რაც შინდისის თემი შეფობაზე აიღო თბილისის სახელოსნო სასწავლებელმა. პირველ ხანებში კარგი კავშირი იყო ურთიერთშორის დამყარებული და ყოველგვარ დახმარებას გვიწევდენ, როგორც გაზეთებით, ისე პოლიტიკური წიგნებით, მოწაფეებს ფანქრებით, რვეულებით და სხვა. მაგრამ ერთი ხელი იქნება, რომ სრულიად გაწყვიტეს კავშირი აღნიშნულ თემთან. არ ვიცი მიზეზი რა იყო. მე ვფიქრობ რომ შინდისის თემი დაშორებულია რკინისგზას 20 ვერსის მანძილზე და ფეხით უხდება მათ სიარული. შეიძლება ფეხით იარული მოსწყინდათ. მაგრამ ეს ხომ შინდისის გლეხების ბრალი არ არის. შინდისელი გლეხი, რომ ნახავს უცხო კაცს უეჭველად კითხავს, ჩვენი შეფი ხომ არ გინახავსო? ვთხოვ ჩვენ შეფს ნუ დაგვივიწყებს, და თუმცა დაგვიანებით, მაინც გვინახულოს.

კ. მეხხიძე.

მამათის თემი

(გურია)

მამათის თემი არის ახლად გამოყოფილი თემი გურიაში, ყოფილი ნიგოითის თემისა.

დღიდან, გამოყოფისა, ამ თემში სწარმოებს ყოველ დარგში ენერგიული მუშაობა. ის ნაკლი, რომელიც იყო აქამდი, მდგომარეობს იმაში, რომ ორი წლის წინად დანგრეულ 7 წლედის ახალ შენობის დამთავრება არ ეღირსეს. დღიდან გამოყოფისა, მამათლები გულმოდგინეთ შეუდგენ შენობის მოსრულებას და უკანასკნელ გრომსაც ამისთვის იღებენ, მაგრამ საქმე დიდი არის და სოფელს ძლიერ უჭირს. საჭიროა სათანადო დაწესებულებანი მიეშველონ მამათს ამ დიდს საქმის დასრულებაში.

შ. ალმართელი.

დიდი შვავი ს. კორტანეთში

ახალ დაბის თემი (გორის მაზრა)

25 მარტს საშინელმა შვავმა შალიან დიდი ზარალი მიაყენა კორტანეთის მშრომელ გლეხებს. ოთხი დესეტინა მამული დარიყა ისე, რომ ბინის დამუშავება ყოვლად შეუძლებელია. შვავი ძლიერდება მთელი ორი დღე. ჯერჯერობით შეჩერდა, მაგრამ მოშვავებულია ერთი ტყიანი ალაგი, რომელიც, უსათუოდ კიდევ ჩამოვა, სოფელი ცუდ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი. გლეხებს ღამით უხდებათ ღამის გათევა, ვინაიდან ეშინიათ შვავის წამოსვლის საჭიროა სასწრაფო დახმარება.

ი. ბინაძე.

მადლობა ასეთ საბჭოთა მუშაკს და ჯანსახკომს

სოფ. ბახვი (ოზურ. მაზრა)

„პირი სოფლისაკენ" ეს ლოზუნგი ნაანდერძევი ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის ლენინის მიერ, თანდათანობით, პრაქტიკულად ხორციელდება. შორეულ მივიწყებულ სოფლებს თანდათან შველის იმედები ივსრობს.

თებერვლის თვეში სოფ. ბახვს ესტუმრა უფასო კბილის ექიმი ელენე მიხეილის ასული მისენკო. პირველი რიგ მან დაუთმო შრომის სკოლის მოწაფეთა კბილების დათვალიერებასა და მათ აქიმობა-წამლობას.

შემდეგ კი საზოგადოების უღარიბეს ნაწილსა და შემდეგ დანარჩენებს. განურჩევლად დროისა და დღე ღამისა ამხ. ელენე თავს ევლებოდა მომავალ თაობასა და მშრომელ ხალხს. ბახვში ის მოსული იყო 15 დღის ვადით, მაგრამ დაინახა რა ხალხის აუცილებელი საჭიროება კბილის აქიმობაში, ის თვეზე მეტია რაც თავდადებით ემსახურება მშრომელთ. მშრომელნი გაკვირვებულნი არიან ასეთი საბჭოთა ექიმი ქალის დაუღალავ და გულმხურვალე ექიმობით, რისთვისაც ბახვი თემის მშრომელნი, უღრმეს მადლობას უძღვნიან ელენე მიხეილის ასულ მისენკოს. ყველასგან მადლობის ღირსია ასეთი საბჭოთა გულშემატკივარი მუშაკი. მადლობის ღირსია აგრეთვე სათანადო ორგანო ჯანმრთელობის კომისარიატიც ასეთი ექიმის გამოგზავნისათვის.

იაკობ მეგრელიძე.

პროვინციის ქრონიკა

— **გორის** აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სახ.-სამ. ბანკის წინაშე გორის მაზრაში მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის სათესლე ხორბალის შესაძენათ სესხის მიცემის შესახებ.

— **საექიმო პუნქტები** ახლო ხანში გაიხსნა სოფ. გუჯარეთში, ხცისში და ახალდაბაში (ბორჯომის ხეობა).

— **გორის აღმასკომმა გადასწყვიტა** საექიმო დახმარების უჯრედები დააარსოს სოფ. ალში, საცხენისში, დირბისში და სკრაში.

— **ტყით სარგებლობა.** გორის აღმასკომმა ნება დართო გლეხებს უფასოდ ისარგებლონ და გამოიტანონ ტყეებიდან ხმელი ნაყარი შეშა.

— **რადიო სვანეთში.** როგორც სანიმუშო თემებში სოფ. მესტიასა და ბეჩოში (სვანეთში) ახლო ხანში მოეწყობა რადიო-მიმღები სადგურები.

— **ახალციხის გლეხთა სახლი** უკვე გაიხსნა. სახლთან მოწყობილია სამკითხველო და ღამის გასათევი ბინები.

— **სამეურნეო იარაღების შესაძენად.** ახალციხის გლეხკომში ამ ჟამად იკვლევს თუ რომელ თემს სჭირდება სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მათ შეძენის მიზნით.

— **მეფუტკრეობის კურსები** გორში გაიხსნება აპრილის შუა რიცხვებში.

— **ავლევის** (გორის მაზრა) გლეხებმა გადასწყვიტეს მოაწყონ საფეიქრო სახელოსნო.

— **აჭარისტანში** ამ ჟამად ითვლება 4,200-ზე მეტი დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **ციმბირის წყლული** გაჩნდა სოფ. ნაკრეპასა, კაზბეგიში და ტხელში (სამხრეთ ოსეთში).

— **ყაზბეგის** გლეხკომმა თავის სავაჭრო თანხები გადასცა ადგილობრივ კოოპერატივს.

— **სატყეო განყოფილებამ** თელავსა და ჭიათურაში გაგზავნა წიწვიანი ხეების ნერგები ტყის მოშენების მიზნით.

განცხადებები

მეუღლე დაშა დავითის ასული; შვილები: ირაკლი და გულიადა; დები: ნოტიო და დესპინე ბახვას ასულნი; რძალი ელისაბედი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას, 5 მარტს, 12 საათზე ხელოვანთა სასაფლაოზე (ვერა) დანიშნულია 6 თვის თავი მათი ძვირფასი

ქუჩუ ბახვას ძე
ლოლუას

[illegible] 836 2—1

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 1